# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 აგვისტო, 2008 წელი.

№ 145 (6003)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ძრწოდეთ, ბეიბი-ბარდოსნებო! 4

## რად გვარიდებს თავს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი? 2

## პუტინსა და ბუშს პეკინში საქართველო გაახსენდებათ? 2

## სამხრეთ ოსეთი ოლიმპიადაზე გაიცვლება?

## ომის საშიშროება 8

Berliner Zeitung

ლევან ჩხეიძე:

## იქნებ დროა, დამნაშავეები გამოვაცხადოთ დამნაშავეებად და იმათთან ლაპარაკი მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძოთ? 3



ეკა ბესელია:

## შემოდგომიდან უკომპრომისო ბრძოლას განვაახლებთ 3



## ბარანკევიჩი კვლავ რუსეთით გვაშინებს 3

## რატომ არ სურს დასავლეთს დემოკრატია საქართველოში? 7

## დიდ მეზობელს მუცელიც დიდი და გაუმაძღარი აქვს 11

## ფული იყოს, თორემ იარაღის მეტი რა არის! 6

## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანაშვილს 9

# ევროკავშირმა კავკასიაში შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას 8

THE WALL STREET JOURNAL

**რატომ?!**

# დაგეძებთ და ვერ გპოულობთ



## რად გვარიდებს თავს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი?

**სანამ უშუალოდ ამ წერილის ადრესატს მივმართავდე, მანამ ის უნდა ვთქვა, რომ ბოლო ორი თვეა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტებს უმისამართოდ „გაუჩინარებული“ პოლიტიკოსების კვალდაკვალ უწევთ სირბილი – კონკრეტული სახელებისა და გვარების ჩამოთვლა და მათზე სათითაოდ საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უთუოდ უნდა ითქვას, რომ ეს უშუალოდ ოპოზიციის, კერძოდ, გაერთიანებული ოპოზიციის ცალკეულ წევრებს ეხებათ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მათთან არათუ ინტერვიუს ჩაწერას, ზოგჯერ დაკავშირებასაც ვერ ვახერხებთ. არადა, ყველას კარგად გვახსოვს, სულ იმას „მოთქვამდნენ“ მასმედია მთლიანად ხელისუფლების მარწუხებშია მოქცეული და ტრიბუნა არა გვაქვსო. იქნებ ჩვენს გაზეთს არ კადრულობენ? თუ ასეა, მაშინ კიდევ კარგა ხანს მოუწევთ ლოდინი „რუსთავი 2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოიმედეთ...**

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს ოპოზიციაზე ნაწყენი ვარ ან შელახული თავმოყვარეობა მალაპარაკებს, სულაც არა, მაგრამ არც ის მინდა, ჟურნალისტი მერქვას და ინტერვიუებზე უარს მეუბნებოდნენ... ეს, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ხუმრობით. თუმცა, ანდაზისა არ იყოს, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, ნახევარი მაინც მართალი რომ არ იყოს...

ახლა კი ძირითადი სათქმელი: როგორც მოგეხსენებათ, გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი აქტიური წევრი დავით გამყრელიძე ამ დღეებში აშშ-ში იმყოფებოდა. იქ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს შეხვედრია და არანაკლებ მნიშვნელოვანი კონსულტაციებიც ჰქონია.

რაც მართალია, მართალია, ეს არ არის „ხელწამოსაკრავი“ თემა, პირიქით, ძალიან საინტერესო იქნებოდა ბატონ დავითთან შეხვედრა და მისი კომენტარების მოსმენა, მაგრამ ვინ გვაღირსა, ბატონო?!

მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, მობილურზე ვერ დავუკავშირდი. ხელი მაინც არ ჩავიქნიე – „ახალი მემარჯვენეების“ პრესცენტრს დავურეკე და ქალბატონ თეონა დოლიაშვილს ვთხოვე დახმარება. მას, როგორც ყოველთვის, უარი არც ახლა უთქვამს და დახმარებას შემპირდა, ისიც, მითხრა, დაგირეკავთო.

ამაო გამოდგა ეს მცდელობაც – დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ისევ დავუკავშირდი ქალბატონ თეონას და მეტად პესიმისტური პასუხი მივიღე: ბატონი დავითი შეხვედრაზეა და არა სცალიაო. ზუსტად მახსოვს, მაშინ დღის სამის ნახევარი იყო. დავრწმუნდი, რომ პრესცენტრი ვერაფრით დამეხმარებოდა და „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ წევრს ქალბატონ მანანა ნაჭყებიას მივმართე იგივე თხოვნით, თან დეტალურად ავუხსენი ჩემი „გასაჭირი“. მას კი გაუკვირდა – ზუსტად ახლა ბატონი დავითი სამი სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტების კითხვებს პასუხობს და თქვენ რა მოგივიდათო?!

– ჩვენ არაფერი, ბატონო, ეს იმათ ჰკითხეთ, ვინც ეშმაკური, „თბილი“ უარით გაგვისტუმრა. შორს არ მოგიწევთ წასვლა, იქვე გვერდით ოთახში დააკაკუნეთ...

სიმართლე ვთქვა, არც კი ვიცი, რა ვიფიქრო. მიკვირს ხოლმე, როცა ესა თუ ის ოპოზიციონერი ინტერვიუზე არ მთანხმდება, მეორე დღეს კი იგივე ოპოზიციონერის „კომენტარებსა“ და „ბრძნულ“ მოწოდებებს სხვა გაზეთის ფურცლებზე ვაწყდები. სწორედ ამიტომ მივმართავ, ამჯერად, ბატონ დავით გამყრელიძეს:

ბატონო დავით! რაშია საქმე? – თქვენ მაინც მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გაზეთი არ არის ხელისუფლების მეხოტბე, თუმცა – არც თქვენი. ჩვენი „საქმე“ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის ლაპარაკია.

ჰოდა, იქნებ გაგვარკვიოთ, რატომ გვარიდებთ თავს? რატომაა, რომ ვერანაირად ვერ გიკავშირდებით?

რატომ ხდება, რომ დაგეძებთ და ვერ გპოულობთ?..

**ჯაბა ჟვანია**

**დეპეშა**

# პრეზიდენტის სამძიმარი



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა როგორც საკუთარი, ისე მთელი ქართველი ერის სახელით ღრმა მწუხარება გამოთქვა რუსი მწერლის ალექსანდრე სოლჟენიცინის გარდაცვალების გამო.**

**პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სააკაშვილმა მწერლის მეუღლეს ნატალია სოლჟენიცინას სამძიმრის წერილი გაუგზავნა.**

**„ამ ქვეყნიდან წავიდა გამოჩენილი ადამიანი და მოაზროვნე, რომლის სახელი ყოველთვის ემახსოვრება მათ, ვისაც რუსული ლიტერატურის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია და მათ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და ადამიანური ცხოვრების ფასეულობები.**

**ქართველი ერისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელად გითანაგრძნობთ თქვენი მეუღლის, უდიდესი რუსი მწერლის ალექსანდრე სოლჟენიცინის გარდაცვალების გამო. ალექსანდრე სოლჟენიცინი მარტოდმარტო დაუპირისპირდა ტოტალიტარიზმსა და კომუნისტურ მონობას და მორალური გამარჯვება მოიპოვა ამ, თითქოსდა, უიმედო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ბელადებთან. ის, რომ ქართველი ხალხი დღეს თავისუფალია, ამ დიდი ადამიანის დამსახურებაცაა. მისი სიტყვები „ცხოვრება სიცრუის გარეშე“ ყოველი პატიოსანი ადამიანის დევიზი გახდა. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი ღრმა მწუხარება. მთელი საქართველო გლოვობს თქვენთან ერთად, – ნათქვამია სამძიმრის წერილში.**

**დიალოგის მოლოდინში**

# შედგება კი ქართველებისა და აფხაზების შეხვედრა სახალხო დიპლომატიის რანგში?

**ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის სახალხო დიპლომატია. სწორედ ამ ფორმის ამოქმედებას ცდილობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი). 2003 წლიდან დღემდე ამ ორგანიზაციამ შეძლო ათასობით შერეული ოჯახის შეხვედრა და აღადგინა მათთან ნათესაური კავშირი.**

ამ დღეებში ზუგდიდში გაიმართა ამ ორგანიზაციის კრება, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: **„სამწუხაროდ, რეაქციული ძალების ჩარევის გამო, ვერ მოხერხდა ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების შეხვედრა. დღეს კი ქართველები და აფხაზები დგანან ომის დაწყების საფრთხის წინაშე. ჩვენ კავშირ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ სახელით, რომლის წევრებიც ვართ ჩვენ, აფხაზი ქალები, მცხოვრებნი საქართველოში, მოგიწოდებთ თქვენ, ძმებსა და დებს, სანამ გვიან არ არის ავიმაღლოთ ხმა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის ქართველებისა და აფხაზების შერიგებას. გთავაზობთ, შეხვედრის მოწყობას, რათა ერთად შევიმუშაოთ ამ ვითარებიდან გამოსვლის პროგრამა. გამოვთქვამთ, იმედს, რომ ჩვენი წარმომადგენლების შეხვედრა სახალხო დიპლომატიის რანგში აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს“.**

ანალოგიური მიმართვის წერილი სამიოდე წლის წინათაც გაეგზავნა სარგეი ბაღაფშს. მაშინ მას სთხოვდნენ მეგრელი და აფხაზი უხუცესების შეხვედრის ორგანიზებას. მაგრამ შეხვედრა არ შედგა.

რა შედეგით დასრულდება ახლანდელი მიმართვა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

**ინფორმაცია**

## პუტინსა და ბუშს პეკინში საქართველო გაახსენდებათ?

**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი და აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ერთმანეთს 8 აგვისტოს პეკინში შეხვდებიან.**

ჩინეთის დედაქალაქში შეხვედრისას რუსეთის პრემი-



ერი და აშშ-ს პრეზიდენტი შესაძლოა მრავალ ორმხრივ საკითხებს შეეხონ, მათ შორის კი სავარაუდოდ აუცილებლად იქნება ევროპაში აშშ-ს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსება და საქართველოში შექმნილი სიტუაცია, – იუწყებიან რუსული სააგენტოები.

რუსეთის მთავრობაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით, რუსული მედია ასევე იუწყება, რომ შეხვედრა ხანმოკლე იქნება და იგი ოლიმპიადის გახსნის წინ გაიმართება.

## სამხრეთ ოსეთი ოლიმპიადაზე გაიცვლება?

**რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორ მილიტარევი საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ოფიციალური თბილისის ახლანდელი მოქმედებები შორიდან საკმაოდ უცნაურად გამოიყურება.**

– აფხაზეთის მიმართულებით თითქოს შეტევა შეჩერდა და თბილისმა მთელი ძალები სამხრეთ ოსეთის მიმართულებით გადაისროლა. როგორც ჩანს, სწორედ ამაში რეალიზდება სააკაშვილის სტრატეგიული გეგმა, – აცხადებს ექსპერტი და მოვლენათა შესაძლო განვითარების ორ სცენარზე საუბრობს.

პირველი ვარიანტი, ექსპერტის შეფასებით, მდგომარეობს იმაში, რომ თბილისი მოსკოვზე ახდენს ზეწოლას და ოლიმპიადის უსაფრთხოების ეჭვქვეშ დაყენებით იმუქრება. ამით ოფიციალური თბილისი ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარების სანაცვლოდ, მოსკოვის თანხმობის მიღებას ცდილობს სამხრეთ ოსეთის ანექსიაზე

– მეორე ვარიანტი იგივე სტრატეგიაა, რომლის მიხედვით თბილისი სამხრეთ ოსეთში ხმაურიანი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ოლიმპიადის თემით სპეკულირებას კვლავ გააგრძელებს და შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრს აფხაზეთში გადაიტანს, – მიიჩნევს ექსპერტი.

## დიპლომატებს კონფლიქტის ზონაში შესვლას არ ურჩევენ

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განთავსებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბი დიპლომატიური მისიების, უცხოეთის სახელმწიფოების სალჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კონფლიქტის ზონაში ვიზიტებისგან თავის შეკავებას ურჩევს.**

როგორც ცხინვალის ინფორმციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, ამის მიზეზად სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში გამწვავებულ ვითარებას და მხარეებს შორის შეთანხმებების არარსებობას ასახელებენ.

სამშვიდობო ძალების შტაბი უცხოელ დიპლომატებს ურჩევს, კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე ნებისმიერი ღონისძიება სამშვიდობოების სარდლობას შეუთახმონ.

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ფრონეს ხეობის ქართულ სოფლებში იმყოფებოდნენ. დიპლომატებმა ქართულ სოფლებში სროლების შედეგად დაზიანებული სახლები დაათვალიერეს.

## ეს მოსამზადებელი კონსულტაცია იქნებაო

**სამხრეთ ოსეთის თვითალიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ბორის ჩოჩიევი რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან შეხვედრას შსკ-ს ფორმატში მოლაპარაკებათა აღდგენის მოსამზადებელ კონსულტაციას უწოდებს.**

როგორც შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთოსური ნაწილის პრესსამსახური იუწყება, რუსულმა მხარემ ცხინვალს სწორედ კომისიის ფორმატში მუშაობის განახლებისთვის საჭირო კონსულტაციების გამართვის ინიციატივით მიმართა.

რუსული მხარის ინიციატივას ცხინვალის დე ფაქტო მთავრობა ჯერ კიდევ განიხილავს. თუმცა, როგორც პრესსამსახური იუწყება, უკვე ცნობილია, რომ შეხვედრაში კომისიის სამხრეთოსური და რუსული მხარეების თანათავმჯდომარეები – ბორის ჩოჩიევი და იური



პოპოვი, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილი მიიღებენ მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსისა და ხი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◎ კითხული კაცის აზრი

*10 წელია, რაც ინტერნეტსივრცეში წარმატებით საქმიანობს ქართველთა რუსულენოვანი საიტი „აფხაზეთი.რუ“. მისი საქმიანობისადმი თვალყურის მიდევნებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ საიტის ერთ-ერთი ექსპერტის საინტერესო, კვალიფიციურმა მოსაზრებებმა. „აფხაზეთი.რუ“-ს ფორუმელი ექსპერტი თბილისელი პროფესორი ლევან ჩხეიძე აღმოჩნდა.*

*ყოფილ საბჭოთა კავშირში პროგრამირების ერთ ერთი პიონერი, სამხედრო მოდელირების სპეციალისტი ლევან ჩხეიძე უკანასკნელი წლებია წარმატებით საქმიანობს საქართველოში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ასევე, ქართველ ენათმეცნიერებთან ერთად, მისი უშუალო მონაწილეობით, მრავალი წლის შრომის შედეგად შეიქმნა საეტაპო, 140 000-სიტყვიანი სრული ქართულ-ინგლისური ლექსიკონი და მისი ელექტრონული ვერსია.*

*სწორედ ბატონ ლევანს ესაუბრა „ინტერპრესნიუსი“ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, კონფლიქტების მოგვარებაში დასავლეთის გააქტიურების მიზეზებზე, ასევე სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკებების პერსპექტივასა და ქართული მხარის მიერ სავარაუდოდ გადასადგმელ ნაბიჯებზე.*



# ლევან ჩხეიძე: იქნებ დროა, დამნაშავეები გამოვაცხადოთ დამნაშავეებად და იმათთან ლაპარაკი მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძოთ?

**— დაძაბული ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე დასავლეთი საგრძნობლად გააქტიურდა, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად და, მეორე მხრივ, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია საქართველოს კონფლიქტებით დასავლეთის დაინტერესება და გააქტიურება?**

— თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ირგვლივ მოვლენებმა სწრაფად განვითარება საქართველოსთვის წარუმატებელი ბუქარესტის ნატოს სამიტის შემდეგ დაიწყო. ბუქარესტის ნატოს სამიტის შემდეგ ნათელია დასავლეთის ქვეყნების არნახული დიპლომატიური აქტივობა უმაღლეს დონეზე. ეს მაშინ, როცა წინა წლებში დასავლეთი საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით მხოლოდ დუმილით, არაფრისმთქმელი რეზოლუციებითა და მხარეებისადმი თავშეკავების მოწოდებებით კმაყოფილდებოდა.

რით შეიძლება აიხსნას საქართველოში არსებული კონფლიქტებისადმი დასავლეთის ასეთი გარდატეხა? ამ მოვლენის ახსნა და შეფასება აუცილებელია იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა შეგვექმნას მოლაპარაკებათა პროცესის მომავალზე.

ქართულ-რუსული კონფლიქტის ისტორია 90-იან წლებში საქართველოს მეამბოხე რეგიონებში „დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის“ შენიღბული პროცესების დაწყებას უკავშირდება, თუმცა ამის მომზადება რუსეთის გარკვეულმა ძალებმა გაცილებით ადრე დაიწყეს. ძნელი და შეუძლებელია იმის ბოლომდე ახსნა, რატომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება მაშინდელი რუსეთის მმართველმა პოლიტიკურმა ელიტამ. გასაგებია, რომ მაშინ რუსეთში ბევრი გადაწყვეტილება ემოციურ დონეზე და რუსულ ელიტაში ღრმად გამჯდარი კომპლექსების ფონზე მიიღებოდა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია იმ პერიოდში ამერიკის მოქმედება.

ამერიკისთვის დამაბნეველი მოულოდნელობა აღმოჩნდა რუსეთში დაწყებული კომუნისტური რევანში და აშშ მაშინ ელცინისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ დათმობაზე წავიდა რუსეთის სამხედრო წრეების იმ მერყევ ელემენტებთან, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ აფხაზეთით და აფხაზეთი მათ „დაუთმო“ — აშშ-მ მაშინდელ რუსეთთან „ჩემბერლენისეული დათმობების“ პოლიტიკის გზით სიარული არჩია და შედეგმაც არ დააყოვნა.

დასავლეთის დათმობების მიუხედავად, რუსეთში ხელისუფლება დემოკრატების ხელში არ დარჩა და თანდათან გადავიდა ჩეკისტებისა და სამხედროების ხელში, რომლებმაც დაუყოვნებლივ დაიწყეს ფართომასშტაბიანი რევანშის პოლიტიკის განხორციელება, რასაც ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების თავბრუდამხვევმა ზრდამ.

შედარებით მცირე დროში რუსეთმა შეძლო დასავლეთისთვის სერიოზული ხიფათის შექმნა — ამჯერად ირანის მუსლიმური ხელისუფლების საშუალებით. თუმცა ამერიკამ მოახერხა ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზური ფიგურის — სადამ ჰუსეინის მოცილება, ამის ფასი აშშ-სა და დასავლეთისათვის საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. რუსეთი განაგრძობს დიპლომატიურ დონეზე და სამხედრო სფეროში ირანის მხარდაჭერას, აწვდის მას საიდუმლო ტექნოლოგიებს, რისი საშუალებითაც ირანი უახლოვდება ატომური იარაღის შექმნას, რაც მთელ მსოფლიოს წესრიგს კატასტროფულ შედეგებს უქადის.

რუსეთში მიმდინარე პროცესების ფონზე, რასაც რუსეთში „დაჩოქილის წამოდგომას“ უწოდებენ, დასავლეთში დაიწყო რუსული პოლიტიკის გადაფასება, რუსეთთან ადრე დადებული, გაცხადებული თუ გაუცხადებელი ხელშეკრულებების გადახედვა და ერთ-ერთი პირველი აქედან საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არსებულ სტატუს-კვოს ვითარებას შეეხო.

დასავლეთმა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გააცნობიერა, რომ რუსეთის გვერდის ავლით მისი ენერგოშემცველებით მომარაგების თვალსაზრისით, საქართველო მისთვის მნიშვნელოვანი რეგიონია და საჭიროა საქართველოსთვის იმ პრობლემების მოშორება, რომელიც კონფლიქტურ ზონებში რუსული აგრესიის სახით თბილისის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია.

იხ. 5 გვ.

◎ კონფლიქტის ზონა

## ბარანკევიჩი კვლავ რუსეთით გვაშინებს

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე. წ. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ბარანკევიჩი აცხადებს, რომ საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიის დაწყების დღე საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამარების დღე გახდება.**



„ოსეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება ოსეთი და არავითარ შემთხვევაში არ გახდება საქართველო. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი რუსეთის მოქალაქეა“, — განაცხადა გუშინ დონის როსტოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ბარანკევიჩმა.

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მოვლენათა ნებისმიერი სცენარით განვითარებისთვის მზადაა.

„ამჟამად სამხრეთ ოსეთიდან ბავშვები გვყავდეს და ყველაფრისთვის მზად ვართ. საქართველოს აგრესიის დაწყების შემთხვევაში კი, სამხრეთ ოსეთს მხარში დაუდგება არა მხოლოდ მთელი ჩრდილოკავკასია და კაზაკობა, არამედ აფხაზეთიც“, — აცხადებს ბარანკევიჩი და დასძენს, რომ ამჟამად სამხრეთ ოსეთი რუსეთის სიტყვას ელოდება.

„რუსეთის ხელმძღვანელობის საბოლოო და მკაცრ სიტყვას ველოდებით და ღმერთმა ნუ ქნას, სამხრეთ ოსეთში საქართველოს საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს. ამით საქართველოს სახელმწიფოებრიობა სამუდამოდ დასამარდება“, — აცხადებს ბარანკევიჩი.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ოპოზიცია



## ეკა ბესელია: შემოდგომიდან უკომპრომისო ბრძოლას განვაახლებთ

*ზაფხული სულ მალე მიიწურება და საზოგადოებაშიც იზრდება მოლოდინი, რომ შემოდგომიდან გაერთიანებული ოპოზიცია ისევ ააგორებს „საპროტესტო ტალღას“. თუმცა კი მსგავსი რამ ჯერჯერობით არ შეინიშნება ოპოზიციის რიგებში. არავინ იცის რატომ, მაგრამ საკითხავია, კახა შარტავასი არ იყოს, მართლა ხომ არ ჩაიქნიეს ხელი, ხომ არ ფიქრობენ, რომ ამ ხელისუფლებასთან ბრძოლას აზრი არ აქვს? ან იქნებ მართლაც შემოდგომისთვის ემზადებიან და მოულოდნელობის ეფექტით ცდილობენ „მეტოქის გაბრუებას? სწორედ ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ ოპოზიციის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ეკა ბესელიას.*

**— ქალბატონო ეკა, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ფაქტია, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ოპოზიცია პასიურობს. რა ხდება სინამდვილეში, მართლა საზაფხულო ტაიმ-აუტი აიღეთ, თუ სამომავლო გეგმებზე მუშაობთ?**

— დავიწყოთ იმით, რომ დღეს ნამდვილი ოპოზიცია არის პარლამენტს გარეთ... არავითარი ტაიმ-აუტი არ აგვიღია დასასვენებლად, უბრალოდ, პაუზა დაგვჭირდა იმისთვის, რომ საშემოდგომო გეგმები და სტრატეგიები განისაზღვროს. მე მგონი, ყველასთვის გასაგებია, რომ უამისოდ ვერანაირი პოლიტიკური პროცესი ვერ დაიწყება.

შეუძლებელია რაიმე ნაბიჯები გადაიდგას ფორსმაჟორულ პირობებში, მით უმეტეს გაუაზრებლად, წინასწარი კონსულტაციების და განსჯის გარეშე. სწორედ ამ გარემოებამ შეუშალა ხელი გაერთიანებულ ოპოზიციას, რომ უფრო ეფექტიანი სვლები გაეკეთებინა თავის დროზე.

იხ. 6 გვ.

## ყველას თავისი აზრი აქვს

***ახლახან ჩატარებული, უფრო მართებულად, გაყალბებული არჩევნების შემდგომ საქართველო ტრაგიკომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. ვარდის სურნელით გაბრუებული ყმაწვილი ხელისუფლება ამაყად აცხადებს, რომ მან უპირობოდ გაიმარჯვა და ხმების 80 პროცენტი აიღო. თავის გამარჯვებას კი მარტივად ამგვარად ხსნის: ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი მიღწევები სახელმწიფოს აღმშენებლობის, სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ-კულტურულ სფეროში თვალსაჩინოა. მართალია, ამ სფეროებში ჩატარებული რეფორმები ფართო მასებისათვის მწვავე და მიუღებელი ფორმით მიმდინარეობდა, მაგრამ ამგვარი პროცესებისთვის ეს ჩვეულებრივი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. მთავარი მაინც ის არის, რომ შედეგი წარმატებულია: ხალხი და ქვეყანა ბედნიერია და ჩვენც — ამაყნი და მედიდურნი, რადგანაც ამ წინსვლას და წარმატებას მთელი მსოფლიო აღტაცებით აღიქვამს. გარდა ამისა, ჩვენ ხალხს ამჯერად შევთავაზეთ ასეთი „სლოგანი“: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, რამაც ერთობ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზეო. ამ დევიზის ეფექტურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ოპოზიციის უსუსურობის ფონზე, ჩვენი ლანძღვისა და გინების მეტს რომ არაფერს აკეთებენ და უსაქმურობით მახათს იყრიან ერთ ადგილასო. ქართველი ხალხი ბრძენია და მანაც აირჩია სასურველი პარლამენტი — შრომით და ცოდნით „რჩეულნიო“-ო.***

***ასეთია სოფისტების ღირსეულ შთამომავალთა „რკინისებური ლოგიკა“, რომელსაც, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა. ამიტომ ისინი ყოველთვის, ყველგან, ყოველ სიტუაციაში საკუთარი გამარჯვების შეუვალობის მყარ არგუმენტად ამას იმეორებენ. და თანაც საპირისპირო აზრის მოსმენა არ სურთ, ხელებს ასავსავებენ, აქეთ გამუნათებენ და სიტყვას ბანზე გიგდებენ: ჩვენი სიტყვების თუ არ გჯერათ, იმ ფაქტს სად წაუხვალთ, რომ 130 დეპუტატი გავიყვანეთ პარლამენტშიო. თქვე შურიანებო და ღვარძლიანებო, „მორჩით ბაზარს“, თქვე მართლაც ურწმუნო თომებო, არ გინდათ ჩვენი გამარჯვება და სამართლიანი არჩევნების შედეგი იწამოთ, მაშინ კეთილი ინებეთ და ყური მიუგდეთ ამერიკის ხელისუფლებას და ევროპის ღირსეულ დამკვირვებლებსო.***

# ძრწოდეთ, ბეიბი-ბარდოსნებო!

ფაქტი ფაქტად რჩება და მას მართლაც ვერსად გაექცევა ობიექტური კაცი. 130-ნი რომ შეჯლიგინდით პარლამენტში, ამას არავინ უარყოფს, თქვე „ზნეკეთილნო“. ოპოზიცია სხვა რამეს გედავებათ, — რა გზებით და როგორ მოახერხეთ ეს?! აი, ეს კი ერთობ საეჭვო და სადავო გახლავთ!..

ბარემ აქვე მოგახსენებთ, თქვე ძალისძალად თვითდაჯერებულნო, თუ როგორი, ჯერაც არგაგონილი გაყალბებით ჩაატარეთ არჩევნები, ამის შესახებ უკვე დავწერე და აღარ გავმეორდები. მაგრამ რასაც თქვენ სახელმწიფოს ჩამოყალიბებად და, მეტიც, აშენებად მიიჩნევთ, ის არის სწორედ სახელმწიფოს მოსპობა და განადგურება. აბა, ყური მიგდეთ: თქვენ, რაც უფალმა და ბუნებამ უწილხვედრა საქართველოს, გაასხვისეთ, „უპრაგონოდ“ გაეცით მთაბარი, მდინარე, წყალი, ტყე-ველი, წინაპრების სისხლით ნაპოხი მიწა, წიაღისეული სიმდიდრეები. ხოლო ის, რაც ქართველმა ხალხმა საკუთარი გარჯით შექმნა: შენობები, ფაბრიკა-ქარხნები, აეროპორტები, ნავსადგურები, რკინიგზა და მისთ., კაპიკებად მიჰყიდეთ უცხოელ კაპიტალისტებს და ათასგვარ ავანტიურისტებს. განა ვინმეს გაუგია სახელმწიფო უჰაეროდ, უწყლოდ და უმიწოდ. სახელმწიფო ფერადი ბუშტი არ არის, რომ ჰაერში იფარფატოს, მას საკუთარი მიწა სჭირდება, ქონება სჭირდება, საკუთარი ეკონომიკა სჭირდება, სულიერება სჭირდება, ავტოქტონური ხალხი სჭირდება, საზღვრები სჭირდება, კულტურა სჭირდება, რელიგია სჭირდება და მისთ. და მისთ. თქვენ ყოველივე ამას დევნით და, სადაც ხელი მიგიწვდებათ, აჩანაგებთ. ახლა ნუ მეტყვით, რომ ამას არ იქმთ, თორემ შეგიბრუნებთ სიტყვას და გაგახსენებთ, რომ ფაქტი ჯიუტია: მიწა გაასხვისეთ, მდინარეები გაასხვისეთ, ტყეები გაყიდეთ, სულიერება-კულტურა-რწმენა ჩაკალით, საზღვრები მოშალეთ, საკუთარი ხალხი სასიკვდილოდ გაწირეთ, შიმშილით სული ამოჰხადეთ, აბუჩად იგდებთ, ტყვიისთვის იმეტებთ და ამას ყოველივეს თქვენ საქმეს უწოდებთ. მართლაც და, თქვენ ამის თაობაზე ხმას არ იღებთ, მხოლოდ იქმთ და ალბათ, შეფარვით ამას გულისხმობთ, როცა ყელყელაობთ: საქმე სიტყვის ნაცვლადო. ეს ყოვლად ანტიქრისტიანული თეზისიც, ალბათ, მუსოლინისგან ისესხეთ, რამეთუ თავად არაფრის შემქმნელი არ ხართ და სხვათა კარნახითა თუ მიბაძვით მოქმედებთ. თუმცაღა, თქვენი ჩადენილი და ნამოქმედარი ამ დევიზის ავტორისაგან არაფრით განსხვავდება, ერთის გარდა: მას სამშობლო, იტალია უყვარდა, თქვენ კი გძაგთ საკუთარი ქვეყანა და ხალხი. აკი, „გაიმარჯვეთ“ თუ არა, მაშინვე გამოიჩინეთ დიდი ყურადღება დაჩაგრული ადამიანებისადმი, საქმეზე გადახვედით, უმოწყალო ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეთ თხუთმეტი პიროვნება, რომლებიც თქვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ ოდენ სიტყვით. ალბათ, გაგულისდით, რატომ ატარტალებენ ენას და საქმეზე რად არ გადადიანო?! რატომ არ გვბაძავენ ჩვენო? თქვენ მართლაც წამსაც არ კარგავთ, ათას სისულელეს სჩადიხართ, აღარაფერს ერიდებით, თუ ოდნავ გაგაჩნდათ სინდისის ნატამალი, იმაზეც აიღეთ ხელი: სისხლის სამართლის საქმე აღძარით თხუთმეტი წლის უდანაშაულო ბავშვის წინააღმდეგ, რათა დედამისი — ცნობილი ადვოკატი და ახლა გაერთიანებული ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი დააშინოთ და ბრძოლაზე ხელი აალებინოთ. დღეს უსამართლო ქვეყანაში უსამართლობით ვერავის გააკვირვებთ, მაგრამ ანალოგიურ შემთხვევას ვერსად შეხვდებით. თუმცა თქვენ უახლოეს წარსულს თუ გავიხსენებთ, არაფერია გასაკვირი და განსაცვიფრებელი: თანამებრძოლების სასიკვდილოდ გაწირვა, დიდი ეროვნული მოღვაწეების მკვლელობა, უდანაშაულო ახალგაზრდების წამება-დაცხრილვა, ცამდე მართალი ადამიანების დაპატიმრება, 12 უცოდველი ადამიანისთვის ცილისმწამებლური საქმის შეთითხვნა და მერე მათი ციხეში გამომწყვდევა და ვინ მოთვლის, რამდენი ცოდვა ამძიმებს ისედაც ცოდვილ თქვენ სულებს?!

ქართული ჯარის შექმნითაც ამაყობთ: ნახეთ, ამერიკულ დონეზე როგორ გავწვრთენით ქართველი ჯარისკაცებიო, ლამის კუდი ყავარზე გადოთ. ამერიკული მომზადების დონეზე დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, „სამხედრო ექსპერტი“ არ გახლავართ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მათი მოგებული ომი ვერც ვიეტნამში, ვერც ერაყში და ვერც ავღანეთში ვნახე... ესეც არ იყოს, თუკი ამერიკა ქართველი ჯარისკაცების გაწვრთნასა და ჯარის შექმნაში გვეხმარებოდა (ვგონებ, ეს ასეც არისძ), მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა: ის ქართველ ვაჟკაცებს „მამლუქებად“ ზრდიდა, რათა მერე მსოფლიოს დაპყრობის მისეულ ლაშქრობაში ჩაერთო. ჩართო კიდეც და დღეს ამერიკის მონა-მორჩილი ჩვენი ხელისუფლების წყალობით შორეულ ერაყში იხოცებიან ქართველი საჯიშე ყმაწვილები. ისინი აქციეს საზარბაზნე ხორცად და, მამაცობით რჩეულნი, დემოკრატიის სახელით ანადგურებენ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის კერას. ვგონებ, ის აზრი, რომ ისინი საქართველოს სახელსა და დიდებას იცავენ და დემოკრატიას ამკვიდრებენ მთელ მსოფლიოში, ოდენ თვალებდათხრილთა და ბრმათა ილუზიაა. ერთი კი უდავოა, რომ ქართველი ყმაწვილების შეწირვით დღევანდელი უსუსური ხელისუფლება ძალაუფლების მორყეულ ტახტს იმაგრებს და თავს აწონებს ამერიკის იმპერიის მშენებელ არქიტექტორებს, რომლებიც კმაყოფილების ნიშნად მათ თავს უკრავენ. ანდა რატომ არ უნდა მოიწონონ: ჯერ ერთი, ამით ისინი საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლეს ზოგავენ და, მეორეც, მომჭირნეობენ: თუ ამერიკელ მებრძოლს ხუთი ათასზე მეტ დოლარს უხდიან, ქართველ ახალგაზრდას, რომელსაც თავის სამშობლოში შეჭირვებული ოჯახი სარჩენი ჰყავს, 800-მდე დოლარს უწყალობებენ. ეს არის და ეს თქვენი ნაქები ჯარის დამსახურება საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე! მათ საქართველოს მთლიანობის აღსადგენად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ და არც საკუთარი ქვეყნის საზღვრების (თუკი ასეთი გააჩნია დღეს საქართველოს!ძ) დასაცავად უზრუნვიათ. თუმცა ზოგიერთი თქვენგანი გამიგულისდება, როგორ გავიწყდება, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი ქვეყნის შიგნით წესრიგს ამყარებსო. ეს მართლაც დამავიწყდა. როგორ არ უნდა გავიხსენოთ, თუ რა სიშლეგით არბევდნენ და უსწორდებოდნენ ჯარის „რჩეულნი“ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ამის შემხედვარეს მხოლოდ ერთი აზრი დაგეუფლებოდა: ესენი ისეთი გულადი და თავდადებული მხედრები არიან, რომ საკუთარ, მშობელ ხალხს არ ინდობენ და იქ, შორეულ უცხოეთში, ვის შეიბრალებენო?!

აფერუმ, ამ ჯარს, მის „რჩეულებს“, მის აღმზრდელებსა და თავკაცებს! მართლაც, მაგრები ხართ!..

ოღონდაც თქვენი სიმაგრე სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ქვეყნისა და ხალხის დაცვაში კი არ ვლინდება, არამედ საკუთარი ძალაუფლებისა და პირადი კეთილდღეობის განაღდებაში. რა-რა და, ამ საქმეში ბადალი არ გყავთ. თანაც ამას ისე იქმთ, თითქოს ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვით გაჭაღარავდით... ხალხს თვალებში ნაცარს აყრით, საზოგადოებას აბრიყვებთ, შთააგონებთ, რომ თქვენ ხართ საქართველო და თქვენ წინააღმდეგ გალაშქრება და ხმის ამოღება უკვე სამშობლოს ღალატია. სინამდვილეში კი თქვენ ყოველ ნაბიჯზე ყიდით ქვეყნის ინტერესებს, ყოველწამიერად ღალატობთ მამულს, რომლის ხსენებაზეც ცინიკური ღიმილი გიპობთ ბაგეებს, თქვე ყურუმსაღებო!

რაო, ნატო გადაგვარჩენსო?! ჩვენი უმთავრესი და უცვლელი მიზანი ეს არისო, სხვაგვარად დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთო, რუსეთის გველეშაპური ხახისგან ვერ ვიხსნით ჩვენ ძირძველ მხარეებს — აფხაზეთს და შიდა ქართლსო, თქვენ ახლა სამხრეთ ოსეთად რომ მოიხსენიებთ. თქვენი სულგაყიდული და სინდისგარეცხილი მასმედიაც სულ ამას ჩასჩიჩინებს ქართველ ხალხს: აი, ახლა შევალთ ნატოში და მერე ნახეთ, როგორ ვასროლინებთ კუდით ქვას ჩვენ დამპყრობელ რუსებსო. საზოგადოების ერთმა ტვინგამორეცხილმა ნაწილმა იწამა თქვენი სიცრუისა და იმედის თვალით ისეთი აღტაცებით შეჰყურებს ნატოს, გეგონებათ, ნატო ვარნაძის სილამაზით ტკბებოდეს. არადა, ნატო, რომელიც ერთ დროს წარმოადგენდა თავისუფალ სახელმწიფოთა სამხედრო ალიანსს, დასავლეთ ევროპას რომ იცავდა საბჭოთა კავშირისაგან, „დღეს იქცა ნეოიმპერიულ ბლოკად — წერს ბიუკენენი თავის შესანიშნავ ნაშრომში „დასავლეთის სიკვდილი“, — რომელმაც მიითვისა უფლება თავს დაესხას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მომიზეზებით მცირე სახელმწიფოებს, როგორიც არის, მაგალითად, სერბეთი. დამფუძნებელ მამებს შერცხვებოდათ იმ საქციელისა, რაც კლინტონმა და ოლბრაიტმა იკადრეს სერბეთის მიმართ. ეს სახელმწიფო აშშ-ს არ დასხმია თავს, ის არანაირად არ გვემუქრებოდა, არ ცდილობდა სამხედრო კონკურენციის გაწევას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვბომბავდით სერბეთის ქალაქებს, ამით ვაიძულებდით მათ გაეხსენებინათ ჰიტლერული ოკუპაცია. და ამას ვიქმოდით იმის გამო, რომ მათ არ დართეს ნება სეპარატისტებს თავისუფალი გადაადგილებისა საკუთარ ტერიტორიაზე“. ამას წერს არა ვინმე რუსი თუ ქართველი, არამედ ჭეშმარიტი ამერიკელი პატრიოტი. ახლა რა ვქნათ, მიხეილს დავუჯეროთ თუ პატრიკ ბიუკენენს?!

**ელიზბარ ჯაველიძე.**

(გაგრძელება იქნება)



## ინფორმაცია

### აფეთქება ნავთობსადენზე

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის** ნავთობსადენის ოპორატორმა ბრიტანულმა კომპანია BP-მ ნავთობსადენით ნავთობის გადაქაჩვა შეაჩერა. ამის მიზეზი თურქეთის აღმოსავლეთით ნავთბოსადენზე მომხდარი აფეთქება გახდა.

სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, აფეთქების მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.



დილით კომპანია Botas internacional-დან, რომელიც ნავთობსადენის თურქული ნაწილის ოპერატორია, მოვიდა ინფორმაცია ნავთობსადენის აღმოსავლეთ ნაწილში ცეცხლის გაჩენის შესახებ“, — განუცხადა „როიტერს“ აზერბაიჯანში BP-ის პრესსამსახურის უფროსმა.

მისივე თქმით, ავარიის შედეგად კასპიიდან ნავთობის მოპოვება არ შეჩერებულა. ჯეიჰანიდან ექსპორტიც განრიგის მიხედვით ხორციელდება. ამასთან, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

თვითმხილველების განცხადებით, ხანძრისგან გამოწვეული ალის სიმაღლე 50 მეტრს აღწევდა.

ამასთან, თურქულ მედიაში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. ადგილობრივი ხელისუფლება აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაციას არ აძლევს; ზოგიერთი წყაროს ცნობით კი, აფეთქებასთან, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეთ ქურთ სეპარატისტებს.

### „ქართული დასელები“ არჩევნებისთვის ემზადებიან

**პოლიტიკური** მოძრაობა „ქართული დასი“ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. როგორც „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, პარტიის იურისტები საარჩევნო დოკუმენტაციას აჭარის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ.

ბაღათურიას განცხადებით, „ქართული დასი“ მონაწილეობას მიიღებს ვაკისა და დიდუბის საარჩევნო ოლქებში დანიშნულ შუალედურ არჩევნებშიც. მათ შესაბამისი განაცხადი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე შეიტანეს.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური სუბიექტების მიერ ცესკოში განაცხადების შეტანის ვადა 8 აგვისტოს იწურება.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## კითხული კაცის აზრი

# ლევან ჩხეიძე: იქნებ დროა, დამნაშავეები გამოვაცხადოთ დამნაშავეებად და იმათთან ლაპარაკი მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძოთ?

(მესამე გვერდიდან)

ამას უკავშირდება დასავლეთის მაღალი რანგის დიპლომატების გააქტიურება. ამ აქტიურობის მთავარი მიზანია, საქართველოს სახელმწიფოს იმ საზღვრებში შენარჩუნება, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველო 90-იან წლებში ცნო და აღიარა.

უდავოა, რომ ამგვარი მიდგომა არანაირად არ აძლევთ ხელს როგორც სეპარატისტებს, ისე მათ მოსკოველ მფარველებს, რომელთა მიზნები მათივე თანამზრახველების მიზნებს, ცხადია, არ ემთხვევა.

**— ვითარებაში, როცა სოხუმი და ცხინვალი უმოსკოვოდ გადაწყვეტილებას არ იღებენ, თქვენი აზრით, რამდენად პროდუქტიულია თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლიდერებთან მოლაპარაკებების წარმოება?**

— სეპარატისტებმა მოსკოველ პატრონებთან ერთად შეიმუშავეს დასავლეთის მიერ ინიცირებული და მათივე მონაწილეობით დაგეგმილი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა პროცესის საბოტაჟის ტაქტიკა, რომლის შესახებაც განცხადებები გაკეთდა როგორც მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოში. ამგვარი მოლაპარაკებების „გაუვალობის ხაფანგის“ არსი მდგომარეობს შემდეგში:

1. სეპარატისტები მოლაპარაკებებზე საერთოდ არ აპირებენ ქართველ დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვას. აფხაზთა ერთ-ერთი ლიდერი ხაჯიმბა მიიჩნევს, რომ „დევნილთა დაბრუნება ქვეყანაში დემოგრაფიულ დისბალანსს შექმნის და ეს უმრავლესობაში აღმოჩენილ ქართველებს რესპუბლიკის მომავალთან დაკავშირებით ნებისმიერი რეფერენდუმის გატანის საშუალებას მისცემს“.

2. სეპარატისტები ითხოვენ კოდორის ხეობიდან ქართველ პოლიციელთა გაყვანას და მათი საერთაშორისო საპოლიციო ძალებით ჩანაცვლებას, მაგრამ იქვე უარს ამბობენ იმავე საერთაშორისო საპოლიციო ძალებით რუსი სამშვიდობოების გალისა და ოჩამჩირის რაიონებში ჩანაცვლებაზე.

3. სეპარატისტები ითხოვენ ძალის გამოუყენებლობის შესახებ საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმებას, რაც საქართველოს სახელმწიფოს მიერ საქართველოსთან მათივე თანაბარსუბიექტიანობის აღიარებას ნიშნავს. ეს მაშინ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთს საქართველოს ნაწილად განიხილავს და ეს რომ ასეა, არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია და აფხაზეთი საერთაშორისო დოკუმენტებში მოიხსენიება ფორმულირებით – „აფხაზეთი, საქართველო“.

4. სეპარატისტები თვალთმაქცურად აცხადებენ – „შექმენით ისეთი ეკონომიკური გარემო, რომ მიმზიდველი იყოს და მერე ჩვენ ვიფიქრებთ, დავბრუნდეთ თუ არა საქართველოს შემადგენლობაში“. ამის პარალელურად ისინი თავის ყველაზე მნიშვნელოვან საკურორტო ინფრასტრუქტურას რუს ბიზნესმენებზე ჰყიდიან. აფხაზეთის საკურორტო ქონებას აქტიურად იძენს ცნობილი მილიარდერი ქალი ბატურინა, რომლის მეუღლეც იური ლუჟკოვია.

სეპარატისტთა ეს თეზისები იმისათვის მოვიხმე, რომ ისინი უკვე აისახა მოლაპარაკებათა პროცესის პერსპექტივაზე, რომელიც გერმანიის მთავრობამ ე.წ. „შტაინმაიერის გეგმის“ სახით მხარეებს შესთავაზა. აფხაზური მხარე მასში მონაწილეობას მხოლოდ შუამავლების საშუალებით დათანხმდა (თუმცა შემდეგ ცხინვალის რეგიონში განვითარებული პროცესების მიზეზით იუარა), რაც ქართული მხარის წარმომადგენლებთან შეხვედრას არ ითვალისწინებს და თანაც იგი ამ შეხვედრაზე მხოლოდ იმ საკითხებს განიხილავს, რომელზეც ისინი მოწყალედ დათანხმდნენ.

ამ პირობებში მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების პრაქტიკულად არანაირი შანსი არ არსებობს. ქართული მხარისთვის მიუღებელი მოთხოვნების დაყენების შემთხვევაში აფხაზურ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოლაპარაკებების ჩაშლა.

აუცილებელია უფრო ყურადღებით განვიხილოთ სეპარატისტთა ის პოზიცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია დევნილთა არდაბრუნების მოტივი. ქართული მხარე კოდორის ხეობიდან ქართული პოლიციის გაყვანას იმ პირობით თანხმდება, თუ აფხაზური მხარე თავის მხრივ დათანხმდება გალისა და ოჩამჩირის რაიონებში საერთაშორისო საპოლიციო ჯარების განთავსებას და ამ რაიონებში საერთაშორისო გარანტიების ქვეშ დევნილთა უპირობოდ დაბრუნებას.

დევნილთა უპირობო დაბრუნების გარანტორები საერთაშორისო საპოლიციო ძალები უნდა იყვნენ. ქართულმა მხარემ არ უნდა დაივიწყოს ის გაკვეთილი, რომელიც თბილისმა სოხუმიდან ქართული ქვედანაყოფების გამოყვანის შემდეგ მიიღო.

აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ სეპარატიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსის თეიმურაზ აჩუგბას გამონათქვამებზე. მისი აზრით, „საქართველოს სურს დასავლელი მეგობრების საშუალებით რევანშისტულად განწყობილი ეთნიკური ქართველების დაბრუნება, რაც ჰუმანიტარული კი არა, პოლიტიკური აქციაა, რომლის განხორციელების შემთხვევაში აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების შეცვლის მიზნით შეიქმნება „მეხუთე კოლონა“. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს სხვა ქვეყნის რევანშისტული განწყობის მოქალაქეებით დასახლება არა მარტო ეჭვქვეშ დააყენებს აფხაზი ერის თავისუფალი ნების გამოხატვას, არამედ აფხაზ ხალხს, როგორც დამოუკიდებელ ეთნოსს, საფრთხეს შეუქმნის“.

აჩუგბას აზრით, აფხაზეთში ქართველი კოლონისტებისა და სტალინისა და ბერიას პერიოდში ჩასახლებული მოსახლეობის დაბრუნება, რომლებმაც 1992-1993 წლებში მონაწილეობა მიიღეს აფხაზი ხალხის ეთნიკურ წმენდაში, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც იურიდიულად მართლზომიერი ქმედება, ვინაიდან აფხაზეთში სხვა ქვეყნის მოქალაქეების ჩასახლება – ეს იმპერიალისტური პოლიტიკის ელემენტია და თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკაში მისი გამოყენება ნონსენსია. დემოგრაფიული წმენდისა და გენოციდის ამ მოციქულს ვერ დასწამებ, რომ იგი გულწრფელი არ არის.

მოლაპარაკებათა პროცესის მოდელი მაშინ იქნება წარმატებული და შეარყევს სეპარატისტთა „ლოგიკას“, თუ საქართველო და მისი დასავლელი პარტნიორები აფხაზურ მხარეს წაუყენებენ შემდეგ უტყუარ არგუმენტებს:

1. ქართველები აფხაზეთში არ არიან „ჩასახლებული კოლონისტები“, ვინაიდან ქართველები აფხაზეთის ავტოქთონური მოსახლეობაა.

2. სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი თეზისი იმის შესახებ, რომ აფხაზეთში ქართველები ჩასახლებული არიან, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან აფხაზეთში 30-40-იან წლებში ჩასახლებულ ქართველთა რაოდენობა არ აღემატება იმავე პერიოდში აფხაზეთში ასევე ჩასახლებული რუსებისა და სომხების რაოდენობას. საქმე ისაა, რომ ეთნიკური ნიშნით აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის მოტივი შერჩევით და ეროვნული ნიშნით განხორციელდა, რაც აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას ერთ რიგში აყენებს იმ პროცესებთან, რომელიც იუგოსლავიაში მოხდა და მოითხოვს თავისი სახელის - „დემოგრაფიული წმენდის“ დარქმევას.

3. აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში მცხოვრებ არც ერთ ეთნოსს, მათ შორის მათ, ვინც თავს „ადგილობრივ“ მოსახლეობად მიიჩნევს, არა აქვს „თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება“ იმ სივრცეში, რომელშიც დემოგრაფიული წმენდა განხორციელდა. ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, რომ სეპარატისტების მიერ 1999 წელს „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ რეფერენდუმის შედეგების განხილვა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

4. ამის გათვალისწინებით, აფხაზეთში დღეს არსებულ სეპარატისტულ რეჟიმს საერთაშორისო არენაზე არ აქვს უფლება, ეწოდოს ლეგიტიმური, ვინაიდან იგი აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად ჩამოყალიბდა და ეთნოწმენდის შედეგებს ეფუძნება. მათ არ აქვთ უფლება ნების გამოხატვაზე საუბრისას რამე ფორმით ისაუბრონ მთელი აფხაზეთის სახელით, ვინაიდან მათ აფხაზეთიდან გააძევეს ისინი, ვინც მათ აზრს არ იზიარებდა.

5. ამ არგუმენტით საფუძველი ეცლება სეპარატისტების ძირითად თეზისს იმის შესახებ, თითქოს დაუშვებელია „სხვა ქვეყნის მოქალაქეების დამოუკიდებელ აფხაზეთში ჩასახლება“, ვინაიდან სეპარატისტულ ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნი „დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის“, ხოლო იქ დაბრუნებული დევნილები „სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან“.

როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ასეთ დემაგოგიას? რეცეპტი კარგადაა ცნობილი: თანმიმდევრულად გასაბათილებელია მათი არგუმენტები, რითაც საერთაშორისო არენაზე შეიქმნება სეპარატისტთა უარყოფითი იმიჯი და თანდათანობით მისაყვანია სეპარატისტული გუნდი საერთაშორისო ტრიბუნალამდე, როგორც ეს განხორციელდა მილოშევიჩის რეჟიმის შემთხვევაში.

ჩემი აზრით, დარტყმა უნდა მივიტანოთ მათი დემაგოგიის ყველაზე მოწყვლად ადგილზე – დასამტკიცებელია ის, რომ აფხაზეთში ქართველთა მასობრივი განდევნა იყო დემოგრაფიული წმენდა და ეთნოწმენდა იმ მოსახლეობის, რომელსაც ჰქონდა თავის მიწაზე ცხოვრების უფლება. აფხაზეთში მომხდარი უნდა განიხილებოდეს, როგორც ჰუმანიტარული კატასტროფა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა დაგმოს.

თავისთავად აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულისთვის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის იდეა ახალი არ არის. ამ თემაზე ჯერ კიდევ 90-იან წლებში ცდილობდა საუბარს შევარდნაძე, მაგრამ მაშინ ეს სამართლიანი მოთხოვნა არ მიიღო საერთაშორისო თანამეგობრობამ – ის მაშინ „რუსი დემოკრატების“ გავლენის ქვეშ იყო და ოცნებობდა რუსეთისგან დემოკრატიული ქვეყნის შექმნას, რომელშიც ამგვარი პრობლემები თავისთავად გადაწყდებოდა.



რუსეთთან მიმართებაში დასავლეთის იმედები ილუზორული აღმოჩნდა, ხოლო მოვლენები რუსეთში სულ სხვა, საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდა. დღეს რუსეთს ის კლანი მართავს, რომელმაც სეპარატისტულ რეგიონებში ხელისუფლების უზურპირება მოახდინა. სეპარატისტული რეჟიმები „დაჩოქილი მდგომარეობიდან წამომდგარი“ პატრონების მხარდაჭერით გამომწვევად იქცევიან, თავს „შემდგარ სახელმწიფოდ აცხადებენ“ და ავიწყდებათ, რომ მათი ხელისუფლება, „იმათ ნებას გამოხატავს“, ვისაც ხელს აძლევს ამ რეჟიმების არსებობა. სეპარატისტული რეჟიმების უსაფრთხოებას ხომ ფსკოვის დივიზია უზრუნველყოფს.

გამორიცხულია, რომ ის ადამიანები, რომელთაც ხელები დასვრილი აქვთ ქართველი ბავშვებისა და მოხუცების სისხლში, რომელიმე მოლაპარაკებებზე, ოდესმე წავიდნენ რამე სახის დათმობებზე. კრემლის პატრონების დახმარებით უკვე შექმნილია „ინფრასტრუქტურა“ ნებისმიერი მოლაპარაკებების წარუმატებლად დასასრულებლად. ეს ნათლად ჩანს მათ მიერ ცინიკურად დეკლარირებულ ლოზუნგში – „ქართველებს განსახილველად წინადადებების წარდგენის უფლება აქვთ, აფხაზებს კი აქვთ უარის თქმის უფლება“.

**უდავოა, რომ ქართულმა მხარემ საერთაშორისო დონეზე უნდა გააძლიეროს ანტისეპარატისტული პროპაგანდა. ქართულმა მხარემ აქტიურად უნდა გამოიყენოს გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, მათ შორის აფხაზური სეპარატული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გალის რაიონში ქართული ენის სწავლების აკრძალვის შესახებ. მსოფლიომ უნდა გაიგოს ქართულ ენაზე სწავლის აკრძალვის უპრეცედენტო ფაქტის შესახებ.**

**იქნებ დროა, დამნაშავეები გამოვაცხადოთ დამნაშავეებად და მათთან საუბარი მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძოთ.**

კობა ბენდელიანი

## ინფორმაცია

### პოლიტპატიმრის გათავისუფლებას ევროსაბჭოს სთხოვენ

**„ლეიბორისტები“ საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობასთან თანაგუნდელ არჩილ ბენიძის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვენ.**

**„ლეიბორისტები“ ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ოფისთან შეიკრიბნენ.**

**მათი თქმით, არჩილ ბენიძე უკანონო პატიმარია და სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმის გამო იმყოფება პატიმრობაში.**

**როგორც აქციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, ხელისუფლება პარტიას სხვადასხვა მეთოდებით ებრძვის და ბენიძესაც უკანონოდ მიესაჯა პატიმრობა.**

**„ლეიბორისტები“ მიიჩნევენ, რომ არჩილ ბენიძე პოლიტიკური პატიმარია. ისინი თანადგომას და დახმარებას ევროსაბჭოს სთხოვენ.**

### უცხოელი ბიზნესმენები იმერეთით დაინტერესდებიან

**იმერეთის პირველმა ვიცე-გუბერნატორმა გუშინ რამდენიმე ოფიციალური შეხვედრაც გამართა. კილაძე ესპანეთის პროვინცია კასტილია ლამანჩას პირველ ვიცე-გუბერნატორს და იტალიის ლომბარდიის რეგიონული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტს, ენცო ლუჩინის შეხვდა. საუბარი რეგიონების მომავალ საქმიან ურთიერთობებს შეეხო.**

**იმერეთის მხარის ადმინისტრაციაში უკვე მზადდება საინვესტიციო პაკეტი, რომელიც იტალიელ და ესპანელ ბიზნესმენებს იმერეთში არსებულ საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას მიაწოდებს. ვიცე-გუბერნატორი იმედოვნებს, რომ ბიზნესმენები იმერეთის რეგიონით დაინტერესდებიან.**

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭИЧ-ЭНИ

◉ ოპოზიცია

(მესამე გვერდიდან)




# ეკა ბესელია:
# შემოდგომიდან უკომპრომისო ბრძოლას განვაახლებთ

ახლა, როდესაც იმ სიტუაციაში ვართ, როცა შესაძლებელია მთელი ზაფხულის პერიოდი გამოვიყენოთ კონსულტაციებისთვის, გარკვეული სამომავლო გათვლებისთვის და ა.შ. ეს სწორად უნდა იყოს გაგებული და მე არ მესმის, რატომ აყვა საზოგადოება და ბეჭდვითი მედია მაინც ხელისუფლების პიარს, რომელიც მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ. არაფერს ვამბობ ტელევიზიებზე, იმიტომ რომ თითქმის ყველა ტელეარხი მათ დაქვემდებარებაშია.

დღეს დამოუკიდებელი ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიცია ახალი ტიპის ერთიანობის ჩამოყალიბებას ცდილობს, ატყუებენ საზოგადოებას და მე მოვუწოდებ მათ, რომ ინფორმაცია კარგად გადაამოწმონ ხოლმე. ბაზალეთში საერთოდ არ გვიმსჯელია ლიდერის თემაზე...

**— აბა რაზე იმსჯელეთ?**

— როგორც საუბრის დასაწყისში ვთქვი, ძირითადად სამომავლო სტრატეგიებზე ვსაუბრობდით. ასევე ვიმსჯელეთ ეროვნული საბჭოს ფორმატზე, ანუ იმაზე, საჭიროა თუ არა ახალი ტიპის გაერთიანების ჩამოყალიბება. საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ამ გაერთიანების კარები ღია დარჩეს ნებისმიერი პიროვნებისთვის, ვინც საზოგადოებისთვის იქნება მისაღები და პატივსაცემი. ჩვენ გვჭირდება სუფთა წარსულის მქონე ხალხი, ვისაც ჭკუა ეკითხება...

**— შეგიძლიათ კონკრეტული პიროვნებები დაასახელოთ, ვინც ახალ სახეებად მოგვევლინებიან ოპოზიციაში?**

— სამწუხაროდ, ჩემი მხრიდან ეს, ცოტა არ იყოს, ნაადრევი იქნება, მაგრამ მე შემიძლია დაგისახელოთ, ვის ვისურვებდით ჩვენს გვერდით, გაერთიანებაში: სოსო ცისკარიშვილს, რომელსაც წარდგენა არ ჭირდება, მას ყველა კარგად იცნობს; გია ხუხაშვილს, ასევე საზოგადო მოღვაწეებსა და ერის წინაშე სუფთა სინდისის მქონე ხალხს. მაგალითად, ოთარ მეღვინეთუხუცესს, გურანდა გაბუნიას, თამაზ წივწივაძეს და კიდევ ბევრს. არ მინდა რომელიმე გამომრჩეს, მიგვაჩნია, რომ ეს ხალხი წარმოადგენს უზარმაზარ ძალას და თუ მათი მხარდაჭერა გვექნება, პლუს საზოგადოების მხარდაჭერით, მიზანს მივაღწევთ და ქვეყანას რაღაც ეშველება. ჩვენი სურვილია ისეთი გაერთიანება შევქმნათ, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტდება. ეს საშუალებას მოგვცემს, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებამდე, კონსულტაციები გავიაროთ საქმის მცოდნე ადამიანებთან. ასეთ პიროვნებებად მე მესახება მაგალითად, სამართლის სფეროში მერაბ ტურავა, ნიონ გვენეტაძე; ეკონომიკის სფეროში გია ხუხაშვილი, პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი და სხვები.

**— დადის კულუარული ხმები, თითქოს თქვენი პარტია და ეროვნული ფორუმი ერთიანდებიან. რამდენად რეალურია ეს?**

— ჯერ ამის არანაირი რეალური წინაპირობა არ არსებობს. მართალია რაღაც დონეზე კონსულტაციები დავიწყეთ, მაგრამ ვინაიდან ამ ეტაპზე შესაბამისი არც დროა და არც ვითარება, საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია.

**— მარტო ეროვნულ ფორუმთან ერთიანდებით, თუ სხვა პარტიებთანაც?**

— ეროვნულ ფორუმთან განსაკუთრებით მჭიდრო კოორდინაცია გვექნება და გვაქვს კიდევაც...

**— რატომ მაინც და მაინც ბატონი კახას პარტიასთან გაქვთ ასეთი მჭიდრო ურთიერთობა?**

— არ დაგიმალავთ და ამ ბოლო ცხრა თვის მანძილზე ჩვენი პოზიციები თითქმის ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა, გვაქვს თითქმის ერთნაირი ხედვა ქვეყნის მოწყობის, პროცესების მართვისა და მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ოპოზიციურ გაერთიანებაში.

**— ზოგიერთი თქვენი თანაგუნდელისთვის გამაღიზიანებელია კითხვა, ვინ იქნება ოპოზიციის სამომავლო ლიდერი. თქვენ რას იტყვით?**

— არ ვისაუბრებ ლიდერის თემაზე ერთი მარტივი მიზეზის გამო, ჩემი პოზიცია ასეთია — გაერთიანება ვერ მოერგება ლიდერს, ლიდერი უნდა მოერგოს გაერთიანებას, მაგრამ როცა გაერთიანება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ამაზე საუბარი მეტისმეტად ნაადრევია. ეს არის ხელოვნურად გაპიარებული თემა, რომელიც, როგორც დასაწყისში ვთქვი, მიზნად ისახავს ოპოზიციის დისკრედიტაციას.

**— თავის დროზე ლიდერის ფუნქცია ლევან გაჩეჩილაძემ კარგად შეითავსა, მაგრამ შემდგომ პერიოდში, შიგნით ოპოზიციაში, გაკეთდა ასეთი განცხადებები, რომ მან თავისი შესაძლებლობები ამოწურა, რომ ის არ არის სალიდერო ფიგურა და ა.შ. თქვენ რას იტყვით ამაზე?**

— მე მიმაჩნია, რომ ლევანმა იმ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში შეძლო საკუთარ თავზე ლიდერის ფუნქციის აღება, თუმცა იყო შეცდომებიც.

**— კონკრეტულად რომელ შეცდომებს გულისხმობთ?**

— თუნდაც იანვარში შეიძლებოდა პროცესების სულ სხვაგვარად წარმართვა, უფრო უკომპრომისო ბრძოლა, რაც ბევრად უკეთეს რეზულტატამდე მიგვიყვანდა. ოპოზიციის მხრიდან სააკაშვილთან მოლაპარაკებებში შესვლაც არ იყო სწორი ნაბიჯი. მე ამას ყოველთვის ვამბობდი. ასევე არასწორი გადაწყვეტილება იყო შიმშილობის აქციის გადადება, იპოდრომის აქციის უხმაუროდ დაშლა და ა.შ.

ამ ეტაპზე ოპოზიციას სულ სხვა ტიპის ლიდერი სჭირდება... არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს ასეთი... მე ვფიქრობ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ხალხი გაყვებოდა...

**— მაგრამ ბატონი ირაკლი ფაქტობრივად ვერ ჩამოდის საქართველოში.**

— საქმეც ესაა. მისი ჩამოსვლა დაპატიმრებისა და „სოდ"-ის მარწუხებში მოქცევის ტოლფასია. ის ყოველმხრივ დაბლოკილია.

**— სექტემბრიდან რას აპირებთ, საზოგადოებაში არის მოლოდინი, რომ ისევ დაიწყება აქციები, რომ შეიძლება განმეორდეს „7 ნოემბერიც"... თავად ოპოზიციას როგორ წარმოუდგენია შემოდგომა?**

— ჩვენ სექტემბრიდან ვიწყებთ ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას, აქტივობას. მანამდე, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით და გავაკეთებთ განცხადებას იმის თაობაზე, თუ რას ვაპირებთ კონკრეტულად, ვინ ვრჩებით და ვინ — არა, იმიტომ რომ ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. ამის შემდეგ დავიწყებთ შეურიგებელ, უკომპრომისო ბრძოლას სააკაშვილისა და მისი გარემოცვის, რეჟიმის, დიქტატურის წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი ერთადერთი და უპირველესი მიზანი, რომელსაც ეტაპობრივად აუცილებლად განვახორციელებთ.

**ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ოპოზიციას და თუ ღირსები იქნებიან, გვერდშიც უნდა დავუდგეთ, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხშირად „ვაის" გაყრილი კაცი ეგრევე „ვუის" შეეყრება ხოლმე. ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსი რამისგან.**

ჯაბა კუტალია

◉ ვითარება

# ფული იყოს, თორემ იარაღის მეტი რა არის!



**სამხედრო ექსპერტი, კობა ლიკლიკაძე მიიჩნევს, რომ ისრაელის მიერ საქართველოსთვის იარაღის შესყიდვაზე უარის თქმა საგანგაშო არ არის. მსოფლიოში იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებით დიდი კონკურენციაა და ისრაელს სხვა იარაღის მწარმოებელი ქვეყანა ჩაენაცვლება, — უთხრა მან „ჯი-ეიჩ-ენს".**

— ძალიან ცუდი ფაქტია, მაგრამ არ არის საგანგაშო. საქართველომ ისრაელისაგან მიიღო საკმაოდ სერიოზული შეიარაღება დაწყებული „სუ-25"-ის მოდერნიზებით, საარტილერიო სისტემების მოდერნიზებით, ცეცხლსასროლი იარაღის შესყიდვით, უპილოტო თვითმფრინავების შესყიდვით. საქართველოს თავდაცვითი პოტენციალი ძალიან გააძლიერა ისრაელსა და საქართველოს შორის მიმდინარე ორმხრივმა სამხედრო პროექტებმა. ასეთი აბსურდული მიზეზით უარის თქმა ჩემთვის ცოტა გაუგებარია. იარაღით ვაჭრობა და იარაღის წარმოება მსოფლიოში გრძელდება, არის დიდი კონკურენცია, ბევრი ქვეყანა ისწრაფვის, რომ გააკეთოს საუკეთესო ნიმუშები და თუ საქართველოსთვის დაიხურა ისრაელის კარი ამ თვალსაზრისით, სამომავლოდ გაიღება სხვა კარები თუკი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ამ ეტაპზე დასჭირდება რაიმე შესყიდვები, — თქვა კობა ლიკლიკაძემ

სამხედრო ექსპერტის თქმით, ისრაელმა საქართველოსთვის შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით უარი ორმხრივი ინტერესის საფუძველზე განაცხადა.

„აქ არის ორმხრივი ინტერესი — რუსეთი დაპირდა ისრაელს, რომ ირანს არ მიჰყიდის შეიარაღებას, სამაგიეროდ, ისრაელმა შეაჩერა სამხედრო შესყიდვები საქართველოსთან. ეს სახელდება ოფიციალურ მიზეზად და ჩვენც უნდა მივიღოთ ეს მიზეზი", — განაცხადა ლიკლიკაძემ.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია ისრაელსა და საქართველოს შორის იარაღით ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ. სააგენტოების ცნობით, ისრაელმა საქართველოს იარაღის მიწოდება უნდა შეუწყვიტოს, — ეს ბრძანება ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ მალავენ, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის თხოვნით მიიღეს, რომელიც, სავარაუდოდ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ამჟამად განვითარებული მოვლენებითაა გამოწვეული.



ჯი-ეიჩ-ენი

შორიდან ახლოს

# რატომ არ სურს დასავლეთს დემოკრატია საქართველოში?

**დასავლეთს რომ საქართველოში დემოკრატიის დამყარება არ სურს, იქიდანაც ჩანს, რომ იგი მეთოდურად დარეგულარულად უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას — გააყალბოს არჩევნები და თავს მოახვიოს ქართველ ხალხს დიქტატორული რეჟიმი.**

ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების აშკარა გაყალბების შემდეგ, როდესაც ოპოზიციონერი დეპუტატები და ასობით ათასი გაწბილებული ამომრჩეველი თვეების მანძილზე განუწყვეტელი მიტინგებითა და შიმშილობებით მოითხოვდნენ საარჩევნო კომისიის სახელგატეხილი თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებას, რომ მომავალი პარლამენტის არჩევნები მაინც ნორმალურად ჩატარებულიყო, დასავლეთის ემისრები (მეთიუ ბრაიზა, დენიელ ფრიდი, ჯონ ტეფტი, მათიას იორში, ტერი დევისი და სხვები) „რესპექტაბელურად" არ ერეოდნენ სააკაშვილის „შინაურ საქმეებში", თუმცა არჩევნების ყოველი გაყალბების შემდეგ ეს ვაჟბატონები უცერემონიოდ ერეოდნენ ქართველი ხალის შინაურ საქმეებში, „დემოკრატიულად" რომ ნათლავდნენ გაყალბებულ არჩევნებს და თვალში ნაცარს აყრიდნენ მას.

ამას წინათ თბილისში ჩამობრძანებულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კიდევ ერთხელ შეაყარა თვალში ნაცარი ქართველ ხალხს, როდესაც განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიის გზით მიდის, მაგრამ დემოკრატია ხანგრძლივი პროცესიაო.

იქ დამსწრე „ჟურნალისტთა" შორის არავინ აღმოჩნდა, ეკითხა, ქ-ნო კონდოლიზა, მაინც რამდენი ხანი სჭირდება იმას, რომ ქვეყანაში მიუკერძოებელი მოსამართლე და საარჩევნო კომისიის ნეიტრალური თავმჯდომარე დაინიშნოსო?!

სხვა საკითხია, მიატანს თუ არა ეს ილაჯგაწყვეტილი ხალხი „ხანგრძლივი პროცესის" ბოლომდე. ვირი რომ ვირია, იმასაც გარკვეული ვადით ამშვიდებენ: „აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო". აქ კი, ეშმაკმა იცის, რამდენი ხანი იგულისხმება ამ „ხანგრძლივ პროცესში". თუმცა ქართველი ხალხი თუ დემოკრატიის დამყარებამდე ვერ მიაღწევს, ეს რა ქ-ნი კონდოლიზას სადარდებელია?! საქართველო, როგორც ტერიტორია (პლაცდარმი), ხომ შეაღწევს ნატოში! აფხაზეთიანად რომ ვერ შეაღწევს, ამას თვითონაც ხვდება, მაგრამ რა უშავს, უაფხაზეთოდ შეაღწიოს?! მთავარია, საქართველოს ტერიტორიული პრობლემა მოეხსნას, რომ ევროპელებმა დაუბრკოლებლად მიიღონ ნატოში. ჩანს, ამისათვის იღვწის ქ-ნი კონდოლიზაც:

**„აფხაზეთის იზოლაცია უნდა დასრულდეს, და აშშ ფიქრობს აფხაზეთის მომავალზე. თუ ჩვენი მხრიდან შეთავაზებული წინადადებები არ გაზავდა მიმზიდველი ელემენტებით (ე. ი. დამოუკიდებლობის შეთავაზებით — ო.ხ.), ისე აფხაზური და ოსური მხარეები რუსეთის თანხმობის გარეშე ასე ადვილად არ დათანხმდებიან თბილისთან დიალოგს".**

აფხაზეთისა და „ოსეთისათვის" დამოუკიდებლობის შეთავაზებით სახელმწიფო მდივანი ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერას ლამობს: ნატოში მისაღებად საქართველოსაც მოუხსნის ტერიტორიულ პრობლემას და რუსეთსაც გამოჰგლეჯს ფაქტობრივად ანექსირებულ ტერიტორიებს. მაგრამ რუსეთს რომ არც ერთი აძლევს ხელს და არც მეორე, იქიდან ჩანს, რომ უკვე იარაღს აჟღარუნებს სეპარატისტულ რეგიონებში, რითაც საქართველოს ხელისუფლებასაც აშანტაჟებს და სეპარატისტ ხელისუფლებებსაც.

რაც შეეხება დემოკრატიას, ის „ხანგრძლივად" მოიცდის. კონდოლიზა რაისის თანახმად, ჯერ ნატო, მერე დემოკრატია. ზვიად გამსახურდია, — ღმერთმა დაუმკვიდროს მას სასუფეველი, — ბრძანებდა: „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატიაო". ბ-ნი ზვიადი, ვიცოდით, „დინების წინააღმდეგ მიცურავდა". საკითხავია, საით მიცურავს ქ-ნი კონდოლიზა?

კონდოლიზასი არ ვიცი, მაგრამ ქართველი ხალხის ყველა უბედურების სათავე რომ საქართველოში დემოკრატიის არარსებობაა, ეს უდავოა. დემოკრატია კანონისა და სამართლის სუფევას გულისხმობს, და კანონისა და სამართლის უგულებელყოფასთან არის დაკავშირებული ყველა ის დანაშაული, რაც დღეს საქართველოში ხდება: „სახელმწიფო ქონების" ხალხის გვერდის ავლით პრივატიზება (მარგარეტ ტეტჩერის დაპირებით, „პრივატიზაცია სახელმწიფო ქონების ხალხისათვის დაბრუნება" უნდა ყოფილიყო), მეანაბრეთა საბანკო ანგარიშების მიტაცება, უნივერსიტეტის, აკადემიის, გაზეთების რედაქციების ქონების ხელყოფა, სასოფლო საძოვრების, ტყისა და წყლის გაყიდვა-გასხვისება, ბიუჯეტის განუკითხავი ფლანგვა, არჩევნების გაყალბება, ეთნოწმენდების მოწყობა, მათი ავტორების ჰააგის ტრიბუნალისთვის არგადაცემა, მათთან „მოლაპარაკებები" და მათთვის „მიმზიდველი ელემენტებით გაზავებული წინადადებების შეთავაზება და ა.შ. კანონი და სამართალი რომ იყოს, ყველა აქ ჩამოთვლილ დანაშაულთა ჩამდენნი საბრალდებო სკამებზე უნდა ისხდნენ და დემოკრატიაც ეს იქნებოდა.

მაგრამ ჩვენს დასავლელ „მეგობრებს", ჩანს, ასეთი დემოკრატია არ სურთ საქართველოში. ასეთი მათ თავიანთთვის სურთ და მეტ-ნაკლებად აქვთ კიდეც. ჩვენთვის კი ისეთი „დემოკრატია" ემეტებათ, რომ დასავლელ მოქალაქეებს, მასთან შედარებით, საკუთარი დემოკრატია იდეალური მოეჩვენოთ. ადამიანი სამოთხეში რომ ჩასვა, მაინც უკეთესზე ფიქრობს, მით უმეტეს, თუ სხვაგან უკეთესი ეგულება. ამიტომ დასავლეთის მამები იმაზე ზრუნავენ, რომ უკეთესი არ იყოს სხვაგან.

მარკიზ დე კიუსტინი, თავის ცნობილ წიგნში „რუსეთი 1839 წელს", ასე მოძღვრავდა ევროპელ ხელისუფალთ: თუ ვინმეს ევროპაში რევოლუციური განწყობილება დაეუფლოს, გავგზავნოთ იგი რუსეთში და იქიდან დაბრუნებული რევოლუციაზე აღარასოდეს იფიქრებსო.



მაშასადამე, მუდამ უნდა არსებობდეს „რუსეთი", როგორც საფრთხობელა დასავლელი ადამიანებისათვის, რომ, ამასთან შედარებით, დასავლეთის პოლიტიკური სინამდვილე ყოველთვის კმაყოფილების გრძნობას იწვევდეს. რუსეთი, ანუ ტირანია უნდა არსებობდეს ყველგან, დასავლეთის გარეთ, ე.ი. საქართველოშიც. ალბათ, ამით აიხსნება დასავლელი დემოკრატების მიერ საქართველოს ხელისუფლების ტირანიისკენ წაქეზება. ცხადია, იმითაც, რომ ტირანი მარიონეტი უფრო უკეთ ემორჩილება კარნახს.

დასავლელ „მეგობართა" ასეთი ქმედება სამართლიან იმედგაცრუებას იწვევს ქართველ საზოგადოებაში. „ქართული აკადემიის" წარმომადგენლის მერაბ ჯიბლაძის აზრით, მაგალითად, „საქართველოს მომავალი საფრთხეშია. საქართველოს ძალიან უჭირს და ჩვენგან (და არა გადამთიელთაგან) შველას ითხოვს" („საქართველოს რესპუბლიკა" № 136, 24.07. 2008).

**არსებითად, ამავე სულისკვეთებას გამოხატავს საერთაშორისო ვითარების საუკეთესო ექსპერტი, საქართველოს წარმომადგენელი გაეროში ირაკლი ალასანია. ჟურნალისტის (ლეილა კვირიკაშვილის შეკითხვაზე, რისი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობასო, — ბ-ნი ირაკლი გასაგებად უპასუხებს: „მხოლოდ საკუთარი თავის" (იხ. იმავე გაზეთის ზემოხსენებულის მომდევნო ნომერი).**

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

მეგობრები ულოცავენ



**დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა დიდ ქართველ მშენებელს, აღიარებულ ორგანიზატორსა და პროფესიონალს, ადამიანური ღირსებითა და კაცურკაცობით გამორჩეულ პიროვნებას, საქართველოსა და ჩეჩენ-ინგუშეთის დამსახურებულ ინჟინერს, ბიზნეს-აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი საპატიო სიგელის, ორდენებისა და ჯილდოების კავალერს, ბატონ გივი კვიჭიძეს.**

**მთელი მისი ცხოვრების მიზანი იყო და არის შენება, სიკეთის ქმნა, მოყვარისადმი ერთგულება და სიყვარული, სწორედ ასეთი ადამიანები, როგორიც ბატონი გივი კვიჭიძეა, ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას.**

# ქვეყნის მშენებელი

მისი ხელმძღვანელობით აშენებულია მრავალი ობიექტი, მარტო ქალაქ თბილისში აშენებულია და ექსპლუატაციაში მიღებულია 12 მლნ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი (360 ათასი ბინა), მრავალი სკოლა და საბავშვო ბაღი, ტელეცენტრი, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, სასტუმრო „ივერია", ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, საჭადრაკო-ალპინისტური კლუბი ვერის პარკში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დასახლება კაზრეთში, საცხოვრებელი კომპლექსები ტიუმენში, ტაშკენტში, გროზნოში. ძველი თბილისის უბნებში აღდგენითი სამუშაოები და მათი გალამაზება, გასასვლელები კოსტავასა და კლარა ცეტკინის ქუჩებზე და მრავალი სხვა ობიექტი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

ბატონ გივი კვიჭიძის მიერ შესრულებული სამშენებლო ობიექტების სივრცე მრავალფეროვანია, დრო უკარნახებდა საქმეს და საითაც უხმობდა ქვეყანა, მზად იყო, მთელი პასუხისმგებლობით შეესრულებინა ეს დავალება.

> გივი კვიჭიძე — 80

22 წლის იყო ბატონი გივი, პირველი სერიოზული საქმის შესრულება რომ დაავალეს, ეს იყო ქ. თბილისის სტალინის სახელობის ხიდის მშენებლობა, სადაც ის მუშაობდა მშენებელოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად. ორ წელიწადში ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს და ახალგაზრდა მშენებელი დააჯილდოვეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ეს იყო მისი პირველი საპატიო სიგელი, რომლის შემდეგ მას აქვს მიღებული უამრავი საპატიო სიგელი. ბატონი გივი აღნიშნავს: „ელბაქიძის ხიდის მშენებლობა ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო, ეს პირველი აღიარება ყველაზე მეტად ჩამრჩა გულში, მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ ჩემს შრომას შედეგი მოყვა, საქვეყნო საქმეში ჩემი წილი მონდომება და სიყვარული".

ბატონი გივი აუჩქარებლად, მაგრამ თანმიმდევრულად და მტკიცედ იკავებდა მოწინავე ადგილს რესპუბლიკის მშენებელთა დიდ არმიაში. მისმა გამორჩეულმა ორგანიზაციულმა ნიჭმა და საქმისადმი ერთგულებამ გზა გაუკაფა მშენებლობის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ამასთან ერთად, გამორჩეულმა პიროვნულმა თვისებებმა საქართველოში იგი პოპულარულ პიროვნებად აქცია. რამდენი ოჯახი გაუხარებია ახალსახლობით, რამდენი მარტოხელა ადამიანისთვის გაუმართავს ხელი და იმედი ჩაუსახავს ცხოვრებაზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბატონი გივის მოღვაწეობა თბილქალაქმშენის მე-14 ტრესტის მმართველად მუშაობის პერიოდში 1971-1982 წლებში, აქედან იწყება დედაქალაქის ახალი საბინაო მშენებლობის ჯერ არნახული ალმავლობის ხანა, საქმემან შენმა გამოგაჩინოს, ჰოდა გამოჩნდა კიდეც მისი კეთილსინდისიერი შრომის შედეგი. შემდეგ სულ მალე გადაეცა მთელი თბილისის საბინაო მშენებლობა და დაინიშნა გაერთიანება „თბილმშენის" მმართველად და იმავდროულად, საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ და კოლეგიის წევრად, ასევე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად.

ბატონი გივი კვიჭიძე ყველაფრით ღირსეული ადამიანია და იმსახურებს ყოველგვარ აღიარებას, გულდასაწყვეტია ის, რომ კაცმა, რომელმაც თითქმის ნახევარი თბილისი ააშენა, მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი შესძინა ქალაქს, მის ძველ უბნებს შეუცვალა იერსახე, დღეს თბილისის საპატიო მოქალაქე არ არის, მაგრამ ხალხი საუკეთესო შემფასებელია, ის ხალხს უყვარს, ხალხი დიდ პატივს სცემს და ეს ჯილდოთა შორის ყველაზე დიდი ჯილდოა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ყოველთვის დაკავებული არის დიდი საქმეებით, ის მაინც ახერხებს იმას, რომ იყოს შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენ, მის მეგობრებს, ძალიან გვახარებს ის, რომ ჩვენი მეგობარი ბატონი გივი საზოგადოებაში აღიარებული და პატივსაცემი პიროვნებაა. მან სახელოვანი გზა განვლო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. იგი დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასალის" და „ღირსების" ორდენებით. მიუხედავად მისი ასაკისა, ის შესანიშნავად მხნედ გამოიყურება და კიდევ ბევრის გაკეთებას შესძლებს ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენ, თქვენი მეგობრები, გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ირაკლი ანდრიაძე, გურამ გაბუნია, ჯემალ გაგუნაშვილი, ვილი გაბაშვილი, ქართლოს კანდელაკი, ალექსანდრე კუჭუხიძე, ჯუანშერ მხეიძე, დათო მაყაშვილი, თამაზ სალარიძე, დიმიტრი ტყეშელაშვილი, რეზო ტყემალაძე, გივი შენგელია, სოსო ხარატიშვილი, თეიმურაზ ხაზარაძე, ჯემალ ხაზარაძე, ნოდარ ხარაბაძე, ნოდარ ჭითანავა**

№ 145. ხუთშაბათი, 7 აგვისტო, 2008 წელი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირმა კავკასიაში შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას

**ევროკავშირი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ევრაზიის სივრცეში უსაფრთხოების პრობლემებს, განსაკუთრებით „გაყინულ კონფლიქტებს“ მოლდოვაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში. და ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ ევროკავშირის გაფართოებასთან შავი ზღვის სანაპირომდე. თუ ევროპას სურს შეასუსტოს თავისი დამოკიდებულება რუსეთის ენერგოშემცველებზე, მან უნდა მოახერხოს ნავთობისა და გაზის კასპიის რეგიონიდან ალტერნატიული გზებით მიღება. მაგრამ სტრატეგიული მილსადენები კასპიის ენერგოშემცველების ტრანსპორტისათვის გადის სულ რამდენიმე კილომეტრში „ცხელი წერტილებიდან“, ისეთებისაგან, როგორიცაა მთიანი ყარაბახი, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.**

გასულ უქმე დღეებში სეპარატისტული სამხრეთ ოსეთისა და ქართულ ჯარებს შორის სროლის დროს 6 კაცი დაიღუპა. ძალადობის ეს ახალი აფეთქება კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის კონფლიქტის გადაწყვეტას მშვიდობიანი გზით მახლობელ აფხაზეთში. ევროკავშირის „მძიმეწონოსნებმა“ მრავალი წლის უგულებელყოფის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყეს ამ მიმართულებით რეალური მოქმედებანი. ივლისში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა წარადგინა აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების სამეტაპიანი გეგმა.

ეს პატარა „ნახევარსახელმწიფო“ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელსაც მართავს ეთნიკური უმცირესობა, მოითხოვს თბილისისაგან ოფიციალურ დამოუკიდებლობას. საერთაშორისო გაერთიანების მიერ უღიარებელი ეს რესპუბლიკა, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთი, იბრძვის ფაქტობრივი დამოუკიდებლობისათვის რუსეთის დახმარებით. 1992-1993 წლებში სეპარატისტებმა დაამარცხეს საქართველოს არმია და აიძულეს ეთნიკური ქართველების უდიდესი ნაწილი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა, დაეტოვებინა ეს რესპუბლიკა. ამ ანკლავის ეკონომიკა, რომელიც იზოლაციაში აღმოჩნდა, მხარდაჭერას პოულობს რუსეთის საქმიანი წრეებისაგან, რომლებიც სავსებით კომფორტულად გრძნობენ აქ თავს ეგრეთ წოდებული „რუსი სამშვიდობოების“ დაცვის ქვეშ. ეს სამშვიდობოები ერთგვარი ბარიერია აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას შორის.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აფხაზური კონფლიქტი შედის მოსკოვსა და თბილისს შორის კონფრონტაციაში. ამას წინათ ცნობილი გახდა ვიდეოფირი, რომელზეც ჩანს, თუ რუსეთის თვითმფრინავი როგორ ანადგურებს ქართულ მზვერავ უპილოტო საფრენ აპარატს. „სამშვიდობოები“ ხშირად შანტაჟს უწყობენ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც დარჩნენ რეგიონში, სძალავენ მათ ფულს „დახმარებისათვის“ ან, როგორც ეს შარშან იყო, აიძულებენ ხმა მისცენ სეპარატისტებს მათ მიერ მოწყობილ არჩევნებში. ეს პროვოკაციები ერთიან სტრატეგიულ გეგმას ემსახურებიან: არ დაუშვან საქართველოს შესვლა ნატოში. გადაუჭრელი კონფლიქტები ორ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მთავარი დაბრკოლებაა თბილისის სწრაფვაში ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებით. ყველა კოზირი, ამრიგად, მოსკოვის ხელთაა.

არაოფიციალური კონსულტაციების დროს რუსეთის წარმომადგენლები იწონებდნენ გეგმას, მაგრამ უარყოფდნენ მას, როდესაც გერმანიის მინისტრმა თავისი სქემა წარმოადგინა საჯაროდ. პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი და მისი მემკვიდრე პრეზიდენტის პოსტზე დიმიტრი მედვედევი მიიჩნევენ, რომ სტატუს-კვოს შენარჩუნება – ესე იგი მბჟუტავი კონფლიქტის შენარჩუნება – უპასუხებს მოსკოვის ინტერესებს. გეგმის საჯარო ტორპედირებით კრემლი ვარაუდობს დაასრულოს ევროპელთა ჩარევა, როგორც მას მიაჩნია, სიტუაციაში, რომელიც მას უნდა ემორჩილებოდეს. რუსეთი ისწრაფვის დათესოს დაბნეულობა თავის ნამდვილ ზრახვებში, რათა გააჭიანუროს კონფლიქტის ნებისმიერი მოწესრიგება.



შტაინმაიერის გეგმა გამოირჩეოდა ამბიციურობით, მაგრამ იყო სავსებით რეალისტური. პირველ ეტაპზე იგი ითვალისწინებდა ნდობის განმტკიცების ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გადაადგილებულ პირთა თანდათანობით დაბრუნებას მშობლიურ ადგილებში, რასაც უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენა ევროკავშირის დახმარებით. რესპუბლიკის სტატუსის საკითხი უნდა გადაჭრილიყო საბოლოო ეტაპზე. ჟესტის სახით მოსკოვის მხარეს შტაინმაიერის გეგმა არ ითვალისწინებდა რუსი სამშვიდობოების შეცვლას საერთაშორისო კონტინგენტით.

მართალია, გერმანული სამშვიდობო გეგმის რეალიზაციის პირველი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, იგი მაინც მიუთითებს: ევროკავშირის ყველაზე გავლენიანი ქვეყნები გრძნობენ იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს სერიოზული ძალისხმევა მბჟუტავი კონფლიქტების გადასაწყვეტად იმ ქვეყნებში, რომლებიც განლაგებული არიან საბჭოთა კავშირის ახალი საზღვრების მახლობლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერლინის პოზიცია – ევროკავშირის ყველა დიდი სახელმწიფოდან გერმანიას ხომ რუსეთთან ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობანი აქვს. მიუხედავად ამისა, მისი სამშვიდობო ინიციატივა მიუთითებს, რომ გერმანიის ინვესტიციები და დიპლომატიური ინტერესები კასპიისპირეთის რეგიონებში არის საკმაოდ მყარი საფუძველი გაერთიანებული ევროპის ურთიერთობათა განმტკიცებისათვის საქართველოსთან. დღეს აუცილებელია, დროის დაუკარგავად, შემუშავდეს შტაინმაიერის გეგმის სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც უფრო მეტად გაითვალისწინებს აფხაზების მოთხოვნებს თავად განსაზღვრონ თავისი ბედი, ამავე დროს არ გასწიოს საქართველოს სუვერენიტეტის რისკი, არ შეანელოს ამ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი და მისი ინტეგრაცია დასავლეთთან. ამ მიმართულებით ძალისხმევის ნებისმიერი აქტივიზაცია უნდა ითვალისწინებდეს ამ პროცესში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ჩართვასაც. სოხუმის ლიდერები განიცდიან რუსეთის ჰეგემონიისადმი სულ უფრო და უფრო ნაკლებ ენთუზიაზმს, ვიდრე ქართველები. და თავიანთ ბრძოლაშიც თბილისთან აფხაზები დამოკიდებული არიან მოსკოვის მხარდაჭერაზე. მაგრამ მათ აღელვებთ, რომ საქართველოსაგან თავისი დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში ხდება რესპუბლიკის ინტეგრაციის პროცესი რუსეთის შემადგენლობაში. სწორედ ამიტომ ისინი ზედმეტი ხმაურის გარეშე ცდილობენ დაამყარონ კონტაქტები დასავლეთის დედაქალაქებთან. ყველაზე მეტად აფხაზები, ალბათ, მიესალმებოდნენ თავიანთ ტერიტორიაზე ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის არსებობას შესაბამისი თანამშრომლების შტატებით, აგრეთვე ევროპის სამშვიდობო კონტინგენტის ყოფნას.

ამ კონფლიქტების მოწესრიგების მცდელობის დროს ევროპა ხელს უწყობს მეზობელი რეგიონების სტაბილურობასა და აყვავებას. დაძაბულობის შენელება კავკასიაში ხელსაყრელია რუსეთისთვისაც. აფხაზეთში ძალადობასა და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დუღილს შორის, სადაც გამოირჩევიან ჩეჩნეთი, დაღესტანი და ინგუშეთი, არსებობს უშუალო კავშირი. თუ რუსეთი ჩაერთვება კონფრონტაციაში აფხაზეთში, გააქტიურდებიან ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებული მეამბოხე სეპარატისტები.

ამრიგად მშვიდობის მიღწევა რეგიონში შეიძლება არ იყოს შეუსრულებელი ამოცანა. მთავარია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის დავარწმუნოთ რუსეთი იმაში, რომ სტაბილურობა მის სამხრეთ საზღვრებზე უფრო ძლიერია ძალოვან „ვეტოზე“ საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე, იქნებ, თავად აფხაზეთისთვისაც დასავლეთთან ინტეგრაციაში.

**ბორუტ გრჟიჩი**

*განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერლინის პოზიცია – ევროკავშირის ყველა დიდი სახელმწიფოდან გერმანიას ხომ რუსეთთან ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობანი აქვს. მიუხედავად ამისა, მისი სამშვიდობო ინიციატივა მიუთითებს, რომ გერმანიის ინვესტიციები და დიპლომატიური ინტერესები კასპიისპირეთის რეგიონებში არის საკმაოდ მყარი საფუძველი გაერთიანებული ევროპის ურთიერთობათა განმტკიცებისათვის საქართველოსთან*

THE WALL STREET JOURNAL

# ომის საშიშროება

**როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთი ერთ ნაბიჯზეა ომისაგან. საქართველოსგან დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება თავის ბავშვებს აგზავნის ევაკუაციაში: დღეისათვის ჩრდილოეთ ოსეთში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შედის, გადაყვანილია უკვე რამდენიმე ასეული ადამიანი. ხმების შესაბამისად, უკუმიმართულებით როკის გვირაბით, რომელიც გადის კავკასიის ძირითადი ქედის ქვეშ, ავტობუსებით მზად არიან შემოვიდნენ კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები, რათა ჩაერთონ ომში, რაც კიდევ უფრო მეტ ნერვიულობას იწვევს ქართულ შეიარაღებულ ძალებში.**

კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც აფხაზეთში, რომელმაც ასევე გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, მეტად სახიფათო თამაშია რუსეთსა და საქართველოს შორის. მოსკოვს ხელს აძლევს დაძაბულობა, ვინაიდან იგი ხდება დაბრკოლებად საქართველოსი ნატოს გზაზე. ის ხელს აძლევს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც, ვინაიდან გარე მტერზე მითითებით მას ქვეყნის შიგნით შეუძლია მოითხოვოს ოპოზიციის პატრიოტული მხარდაჭერაც. ორივე მხარე დღემდე დაბეჯითებით ცდილობს შეინარჩუნოს სამხედრო დაძაბულობა, თუმცა იმ დონემდე, რომ არ გადავიდნენ ღია სამხედრო დაპირისპირებაში.

როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთის კლანებს უკვე ყელში ამოუვიდათ მარიონეტების როლი. მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბებით იზრდება იმის საფრთხეც, რომ სეპარატისტები იგრძნობენ შანსს გახდნენ „დამოუკიდებლები“. როგორ აბსურდულადაც ეს არ უნდა ჟღერდეს, მაგრამ ორივე ძირითადი მოქმედი პერსონაჟი – რუსეთი და საქართველო – ამ სიტუაციაში უნდა იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ რეგიონში კონტროლი და დაძაბულობის შენელება.

**ფრანკ ჰეროლდი**

*მოსკოვს ხელს აძლევს დაძაბულობა, ვინაიდან იგი ხდება დაბრკოლებად საქართველოსი ნატოს გზაზე. ის ხელს აძლევს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც, ვინაიდან გარე მტერზე მითითებით მას ქვეყნის შიგნით შეუძლია მოითხოვოს ოპოზიციის პატრიოტული მხარდაჭერაც. ორივე მხარე დღემდე დაბეჯითებით ცდილობს შეინარჩუნოს სამხედრო დაძაბულობა, თუმცა იმ დონემდე, რომ არ გადავიდნენ ღია სამხედრო დაპირისპირებაში*

Berliner Zeitung

## მსოფლიოს ზურგზე

**აშშ** ამოშლის ჩრდილოეთ კორეას „ტერორიზმის სპონსორების“ სიიდან, თუ იგი გაამჟღავნებს ყველა თავის ბირთვულ პროგრამას. ამის შესახებ ჯორჯ ბუშმა განაცხადა სამხრეთ კორეის პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ. ამერიკის მმართველი ამჟამად იმყოფება აზიაში „გამოსამშვიდობებელი ვიზიტით“.

* * *

**მაკკეინმა** და ობამამ შექმნეს ორივესთვის ერთი კომისია, რომელიც დაეხმარება ახალ პრეზიდენტს გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან. კომისიაში შევიდნენ პოლიტიკოსები, დიპლომატები და ექსპერტები, მათ შორის ისინი, ვისაც უშუალო ურთიერთობა აქვს პრეზიდენტობის კანდიდატების საგარეოპოლიტიკურ შეხედულებებთან.

* * *

**პერის ჰილტონმა** უპასუხა „ბერიკაც“ მაკკეინს და დაჰპირდა, რომ თეთრ სახლს შეღებავენ ვარდისფრად. ჰილტონმა ასე უპასუხა ჯონ მაკკეინის როლიკს, თანაც მოხსნა საკუთარი „წინასაარჩევნო ვიდეო“. პერისი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ იგი აშკარად ახალგაზრდაა მაკკეინზე, მასზე უფრო ტემპერამენტიანი და „აბსოლუტურად მზად არის ქვეყნის მართვისათვის“.

* * *

**კოლუმბიელმა** ინჟინრებმა შექმნეს სისტემა, რომლებიც „სასწრაფო დახმარების“ ავტომობილებს საშუალებას მისცემს გადართონ შუქნიშნები. ასეთი სისტემის შექმნის იდეა გაუჩნდა ანტიოქიის (კოლუმბიის ჩრდილო-დასავლეთი) უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სამ სტუდენტს. მათ გამოიყენეს უმავთულო სისტემის პრინციპი: მანქანაზე ამონტაჟებენ გადამცემს, რომელიც გადამკვეთ ხაზთან მიახლოების დროს უკავშირდება მეორე გადამცემს, რომელიც დაყენებულია შუქნიშანზე და სიგნალს იძლევა შუქის რეჟიმის შეცვლის შესახებ.

* * *

**დომინიკის** რესპუბლიკაში პლაჟზე აღმოაჩინეს ხელებით ერთმანეთზე გადაბმული შვიდი კაცის გვამი. დახოცილთა ვინაობა ჯერ დადგენილი არ არის. პოლიცია ვარაუდობს, რომ ეს ხალხი დახოცეს „გარჩევის“ დროს ნარკოტიკებით მოვაჭრეებმა, რომლებსაც ნარკოტიკები გადააქვთ კოლუმბიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დომინიკის რესპუბლიკის გავლით.

* * *

**ჩინეთის** სიჩუანის პროვინციაში განმეორებითი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა სამი კაცი, დაჭრილია ოცზე მეტი. სოფელ ვანციაცუსში, სადაც მიწისძვრის ეპიცენტრი იყო, მისი ძალა შეადგენდა 6,1 ბალს რიხტერის შკალით. პრაქტიკულად დანგრეულია ყველა სახლი, სერიოზულად დაზიანდა მახლობელი ხუთი სოფლის ნაგებობანი. გზების დაზიანების გამო დარღვეულია მიმოსვლა მათ შორის, შეწყვეტილია სამავთულო კავშირურთიერთობა, შეფერხებებია ელექტრომიწოდებაში.

* * *

**ამერიკელმა** მეცნიერებმა გადაწყვიტეს, დააზუსტონ: ნიადაგი მარსზე ანალოგიურია იმისა, რაც შეიძლება ვნახოთ ატაკამის უდაბნოში ჩილეში. „ფენიქსის“ ქიმიურ ლაბორატორიაში მიღებულმა ანალიზებმა მათ საშუალება მისცეს, განესაზღვრათ, რომ მარსის ნიადაგი შეიცავს მაგნიუმის, ნატრიუმისა და ქლორის შენაერთებს. მაგრამ მათში არის ძლიერი მჟანგავის – პერქლორატის – ნაშთებიც. ეს ნივთიერება არის ატაკამის უდაბნოს ნიადაგშიც, სადაც არსებობენ განსაკუთრებით სიცოცხლეგამძლე მიკროორგანიზმები.

* * *

**სოციოლოგები:** ბედნიერება არ კურნავს, მაგრამ სიცოცხლეს მაინც ახანგრძლივებს. ჰოლანდიელი სოციოლოგი რუტ ვენჰოვენი, რომლის საიტიც აქვეყნებს ქვეყნების ბედნიერების შესახებ სახელგანთქმულ რეიტინგნებს, მივიდა დასკვნამდე: ბედნიერება იცავს ადამიანს ავადმყოფობებისაგან. ამრიგად იგი ახანგრძლივებს სიცოცხლეს დაახლოებით იმდენად, რამდენადაც მოწევაზე უარის თქმა. დამთრგუნავი ემოციური მდგომარეობა იწვევს სტრესს, რომელიც აქვეითებს იმუნიტეტს.

საუკუნეთა სიღრმეზე

**ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსეული და 100 ყველაზე უღირსი ქართველი**

# უფრო უპრიანი იქნებოდა...



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას**

**ვიმედოვნებ პატივცემულო რედაქცია, თქვენ მიერ წამოწყებული შესანიშნავი პროექტის გამო, ალბათ მეც დამითმობთ ცოტა ფართს!**

ღირსეული ქართველების თაობაზე გამოქვეყნებული ყველა წერილი წაკითხული მაქვს. ძირითადად ვეთანხმები ყველა ავტორს, თუმცა ჩემი მოსაზრებანიც გამაჩნია. გამოვარჩევ განსაკუთრებით გ. ქავთარიას, დ. ცინცაძის, გ. გოგოლაშვილის მოსაზრებებს და მათს სიებს. გამონაკლისია ერთი ღვარძლიანი ქართველი ისტორიკოსის – ნოდარ ლომოურის წერილი და სია. სწორედ ამან მიბიძგა, რომ გამომეთქვა ჩემი მოსაზრებანი.

საქმე ის გახლავთ, რომ ღირსეულ ქართველთა ჩამონათვალში იგი რამდენიმე უღირს ქართველსაც ჩამოთვლის (თუნდაც, მაგალითად, რა სახსენებელი იყო ამ სიაში თ. სიგუა და მამამისი ი. ლომოური).

ნ. ლომოური თბილისის დანგრევის დროს გვერდში ედგა პუტჩისტებს, უღირს ქართველებს, რომლებმაც დაუფასეს ეს ერთგულება ზვიად გამსახურდიას წინაამღდეგ ბრძოლაში და თბილისის დაქცევის შემდეგ უბოძეს, სრულიად დაუმსახურებლად, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორობა, საიდანაც დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოაპანღურა. იგი ჯერაც ვერ ივიწყებს ამ დამსახურებას და პოულობს რაღაც მიზეზებს ოღონდ ზ. გამსახურდია როგორმე გალანძღოს და გააქილიკოს. ასე ექცევა იგი ზვიადის ერთგულ შესანიშნავ მოქალაქეებს და ისინი შეუყვანია თავის უღირსთა სიაში: აკაკი ასათიანი, თემურ ქორიძე, ბესარიონ გუგუშვილი, ვახტანგ ქობალია, აკაკი ელიავა და სხვები. თუ არა ელიავას და ვ. ქობალიას თავკაცობა, სამეგრელო მიწასთან იქნებოდა გასწორებული მათ მიერ. თუმცა ბევრი არც დაუკლიათ. ამაშიც თავისი „დიდი“ დამსახურება მიუძღვის თვით ლომოურსაც.

ჯობდა, თავისი ღვარძლიანი კალამი უღირს ქართველთა მიმართ მიემართა. ეს უფრო უპრიანი იქნებოდა. განა არ იცის თავისი ყაჩაღი მეგობარი იოსელიანი ისეთ ღირსეულ ქართველთა გვერდით რომ განისვენებს დიდუბის პანთეონში, როგორებიც არიან კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, შოთა ნიშნიანიძე და სხვები. აფსუს მის მართალ კაცობას. იმიტომაც მოვუძებნე მას ნაღდი იარლიყი ღვარძლიანი კაცისა. „ღვარძლი“ ხომ მარცვლოვანთა ოჯახის სარეველა ბალახია, იცის პურეულთა ნათესებში ამოსვლა და აქედან ნიშნავს ბოროტს, შურიანს, სიავეს. ისეთ ადამიანს მიესადაგება ასეთი სახელი ზუსტად, როგორიცაა ნ. ლომოური. ამ თავისი წერილითაც კარგად დაასაბუთა იგი. მაშ რა საჭიროა დღეს გავიხსენოთ ისეთი ქართველები, რომლებსაც თავის დროზე შეცდომები ჰქონიათ, ან განზრახ ჩაიდინეს ესა თუ ის უღირსი რამ. ასეთი სია საჭირო რომ იყოს, ლომოურს აუცილებლად შევიყვანდი მასში. რა თქმა უნდა, ასეთი ქართველებიც გვყავანან შედარებით ღირსეულ ქართველებთან. რა თქმა უნდა, ისინი მცირენი არიან, მაგრამ მათი ხსენება არავითარ სიკეთეს საზოგადოებას არ მოუტანს და არც ასეთი სიების გამოქვეყნებაა აუცილებელი. მათ თავიანთი გასაჭირი ეყოფათ.

**ოთარ ბერიშვილი**

*საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია*

*5 ივლისი, 2008 წ.*

**ღირსეულ ქართველთა ჩემეულ ასიანთა სია კი ასეთი გახლავთ:**

**1. აბაშიძე ირაკლი; 2. აბაშიძე მემედი; 3. ასათიანი ლადო; 4. აბულაძე თენგიზი; 5. ახმეტელი სანდრო; 6. ამირანაშვილი შალვა; 7. არაყიშვილი დიმიტრი; 8. ამაშუკელი ელგუჯა; 9. ანტონ კათალიკოსი; 10. ამირეჯიბი ჭაბუა; 11. არსენ იყალთოელი; 12. აფაქიძე ანდრია; 13. ანჯაფარიძე ვერიკო; 14. ბერძენიშვილი მერაბ; 15. ბარათაშვილი ტატო; 16. ბერიტაშვილი ივანე; 17. ბაგრატ III მეფე; 18. ბერია ლავრენტი; 19. გიორგი ბრწყინვალე; 20. გამსახურდია კონია; 21. გამსახურდია ზვიადი; 22. გოგებაშვილი იაკობი; 23. გუდიაშვილი ლადო; 24. გურამიშვილი დავით; 25. გრანელი ტერენტი; 26. გაფრინდაშვილი ნონა; 27. ილია II; 28. დავით IV აღმაშენებელი; 29. დემეტრე II თავდადებული; 30. დავით კურაპალატი; 31. ერეკლე II; 32. ვახტანგ გორგასალი; 33. ვახუშტი ბატონიშვილი; 34. ინგოროყვა პავლე; 35. ივანაშვილი ბიძინა; 36. ჭყონდიდელი გიორგი; 37. თამარ მეფე; 38. თაყაიშვილი ექვთიმე; 39. თამარაშვილი მიხეილ; 40. კოსტავა მერაბ; 41. კეკელიძე კორნელი; 42. კეცხოველი ნიკო; 43. ლეონიძე გიორგი; 44. ლეონტი მროველი; 45. მარჯანიშვილი კოტე; 46. მახარაძე კოტე; 47. მესხი მიშა; 48. მარი ნიკო; 49. მელიქიშვილი პეტრე; 50. ნიშნიანიძე შოთა; 51. ნოზაძე ვიქტორი; 52. ნუცუბიძე შალვა 53. ორბელიანი სულხან-საბა; 54. პაიჭაძე ბორისი; 55. ჟორდანია ნოე; 56. ჟორდანია იოსები; 57. რუსთაველი; 58. სუხიშვილები; 59. სტალინი; 60. სარაჯიშვილი დავითი; 61. ტაბიძე გალაკტიონი; 62. ტაბიძე ტიციანი; 63. ფიროსმანი; 64. ფარნავაზ I; 65. ქუჯი; 66. დადიანი ცოტნე; 67. შარტავა ჟიული; 68. ჭავჭავაძე ილია; 69. ჭიაურელი მიხეილ; 70. ჭიაურელი სოფიკო; 71. წერეთელი აკაკი; 72. ჯავახიშვილი ივანე; 73. ჯავახიშვილი მიხეილი; 74. ჩახრუხაძე; 75. ხორავა აკაკი; 76. შავგულიძე გიორგი (ჟორა); 77. ერქომაიშვილი ანზორი; 78. გონაშვილი ჰამლეტი; 79. დოლიძე გოგი; 80. დოლიძე ვიქტორი; 81. ბურჭულაძე პაატა; 82. ყაზბეგი ალექსანდრე; 83. რობაქიძე გრიგოლი; 84. ნიკოლაძე ნიკო; 85. თაქთაქიშვილი ოთარი; 86. ჩოლოყაშვილი ქაქუცა; 87. დოდაშვილი სოლომონ; 88. შარია პეტრე; 89. ჭაბუკიანი ვახტანგი; 90. ინგოროყვა პავლე; 91. მუსხელიშვილი ნიკო; 92. გამყრელიძე თამაზ; 93. სააკაძე გიორგი; 94. მაჭავარიანი მუხრან; 95. ჩხეიძე რეზო; 96. უზნაძე დიმიტრი; 97. შანიძე აკაკი; 98. ვეკუა ილია; 99. ჩიქობავა არნოლდი; 100. ბერძენიშვილი ნიკო**

## მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა
## თქვენ ვის ნახვას ისურვებდით ამ ნუსხაში?

„საწუხარ არს ესე...“

# ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანაშვილს

**გაზეთებში (და ტელევიზიაშიც) ატეხილი კინკლაობის გამოძახილი არასასიამოვნო ექოდ ჩაესმა ჩემს მრავლისმსმენელ ყურს და გადავწყვიტე, მოგმართოთ ღია წერილით. დიახ, ღია წერილით, რადგან ჩემი გულისტკივილი სახალხოდ უნდა გაგიზიაროთ, რამეთუ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემებრ ბევრს აუფორიაქა სული თქვენი სახელის აუგად მოხსენიებამ, „საწუხარ არს ესე...“**

საკუთარი სახელის ისტორიაში დასამკვიდრებლად უღირსთ მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი – ეფესოს არტემიდას ბრწყინვალე ტაძარი ცეცხლს მისცეს.

სიტყვამ მოიტანა, და გაგიმხელთ: დღეს წმინდა სამების დიდებულ ტაძარში გახლდით, ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენის გახსნაზე. შემდეგ ჩემი ცოდვილი სული კიდევ ერთხელ შევავედრე უფალს და სულამაღლებული პირჯვარს ვიწერდი ჩემი სამშობლოს ხვალინდელი ნათელი დღისთვის. იმ ნათელისთვის, თქვენ, წმინდა სამების ტაძრის აღმშენებელმა რომ აუნთეთ ქართული კულტურის გადარჩენას და განვითარებას...

ცნობილია, რომ თქვენი გულმხურვალე თანადგომით ბევრი ქართველი ხელოვანი და მეცნიერი, სპორტსმენი და კეთილი საქმის მკეთებელი კაცი გადაურჩა ბედისუკუღმართობისა და სიდუხჭირის მსხვერპლის ხვედრს. ჩვენს ცნობიერებაში მიძინებული და წინაპართა ტრადიციებზე დამკვიდრებული ქველმოქმედება სწორედ თქვენ აალორძინეთ და ბიზნესისა და კულტურის საერთო ქართულ საქმედ აქციეთ.

გავკადნიერდები და ჩემი ღია წერილის ბოლოს შემოგკადრებთ მოსაზრებას, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო და კეთილი რჩევაც იყოს. თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რამდენად მისაღები იქნება იგი თქვენთვის:

თქვენ დიდი ხანია, მოიპოვეთ ყველაზე საპატიო და ყველაზე დიდი მოსახვეჭელი ყოვლისა მოსახვეჭელისა – სახელი მეცენატისა, და, როგორც ეკლესიასტე ბრძანებს, – „ხელი მონისა ლპების, სახელი მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე“.

და თქვენს სახელს თავის მართლება?!...

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენს სამსახურებს, შეწყვიტონ ყოველგვარი პოლემიკა ეროვნული ღირებულებების ანტაგონისტი და ეთნოცნობიერებისგან განაპირებულ ხალხთან, „რამეთუ კუდი ძაღლისა არ განიმართების“. და, რა თქმა უნდა, შეწყვიტონ „უღირსად გამოჩინებულთა“ უაღრესად აგრესიული მითქმა-მოთქმის აკინძვა...

თანამედროვეთათვის და მომავლისათვის სიქველითა და სიკეთით სავსე საქმენი თქვენი დიდი ხანია, აკინძულია და სწორედ ის დარჩება ყოველთა ქართველთა მეხსიერებაში.

გულწრფელად

**დემურ ბაშელეიშვილი.**

*საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.*

*თბილისი, 3 აგვისტო, 2008 წ.*

ინფორმაცია

## აჭარაში სახელმძღვანელოებს უფასოდ დაარიგებენ



**აჭარაში სკოლის მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდებათ.**

**აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალი სასწავლო წლისთვის აჭარის სკოლების ყველა კლასის მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს.**

**სახელმძღვანელოების შესაძენად ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარი გამოიყოფა. წიგნებს რეგიონის მასშტაბით 56 ათასი მოსწავლე მიიღებს. სწავლის დასრულების შემდეგ კი, სახელმძღვანელოები სასკოლო ბიბლიოთეკებში შეინახება.**

## „ელიტელის“ ქსელი იზრდება

**საქართველოში წლის ბოლომდე „ელიტელის“ ქსელის 25 მაღაზია იმუშავებს.**



**ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად, „ელიტელის“ ქსელი, ქვეყნის მასშტაბით, 13 მაღაზიას მოიცავს. უახლოეს მომავალში, „ელიტელის“ მაღაზიების გახსნა დაგეგმილია კინო „საქართველოში“, ორთაჭალაში, აეროპორტის ტრასაზე და საგარეჯოში.**

**თითო მაღაზია, საშუალოდ, 15 ადამიანს ასაქმებს. „ელიტელის“ მაღაზიათა ქსელში, მობილური ტელეფონებისა და სხვადასხვა აქსესუარების გარდა, კომპიუტერული ტექნიკა და ციფრული აპარატურა არის წარმოდგენილი.**

ინტერპრესნიუსი

ნარდი



# ჩემ დურანმა სურდოსაც აჯობა

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დამთავრდა ცნობილი ჟურნალისტის გოგი ბუკიას მეორე მემორიალური ტურნირი, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პროფესიონალთა შორის ყველას თურქმა ჩემ დურანმა აჯობა. ფინალში მან იტალიელი ფაბრიციო ლო სურდო დაამარცხა და პრიზად 8500 ევროც მიიღო. ფინალისტს 4300 ევრო ერგო (ამ ასპარეზობის საპრიზო ფონდი იყო 28500 ევრო).**

დაძაბული გამოდგა მთავარი შეჯიბრების სანუგეშო (დამარცხებულთა) ტურნირი. გადამწყვეტ პაექრობაში კახა ნაჭყებიამ ნოდარ გაგუას სძლია 12:9.

ოსტატთა დუელში (საპრიზო ფონდი 9900 ევრო) ირანელმა რამზის ხალილიმ მსოფლიო ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს თანამემამულე ჩივა ტაფაზოლის მოუგო და 2800 ევრო ხვდა. მოყვარულებში კახა ქურციკიძემ იმარჯვა, რომელსაც სპეციალური პრიზი ერგო.

ტურნირის მსვლელობისას საქართველოს ხუთკაციანი გუნდი მსოფლიო ნაკრებს დაუპირისპირდა. როდესაც ანგარიში თანაბარი იყო (2:2), გადამწყვეტ შეხვედრაში კახა ნაჭყებიამ ფარ-ხმალი დააყრევინა გერმანელ იურგენ ორლოვსკის და საქართველოს ნაკრებს საბოლოო გამარჯვება (3:2) მოუტანა.

**გიორგი გაგუა**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ვინ მიიღებს ოქროს პრიზს?

**1 სექტემბერს მონტე-კარლოში უკვე მეექვსედ გაიმართება ძალზე პრესტიჟული პრემიის Goloden Foot გადაცემა, რაც მონაკოს პრინცის პატრონატით მიმდინარეობს. აქამდე ეს ძვირფასი ნადავლი დაიმსახურეს რობერტო ბაჯომ, პაველ ნედვედმა, ანდრეი შევჩენკომ, რონალდომ და ალესანდრო დელ პიერომ, აგრეთვე წარსულის რამდენიმე ვარსკვლავმა, რომელთაგან ამჟამად მიიწვიეს ზინედინ ზიდანი, დუნგა, პაოლო მალდინი და „ოქროს ბურთის“ 1986 მფლობელი იგორ ბელანოვი.**

შეგახსენებთ, რომ ოქროს პრიზი ენიჭება ინტერნეტში ხმის მიცემით 29 წელზე უფროს ერთ-ერთ მოქმედ ფეხბურთელს, გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება ბრწყინვალე კარიერით რომ მოიპოვა. უკვე განისაზღვრა ის 10 ფეხბურთელი, ვისაც გულშემატკივრებმა უნდა მისცენ ხმა საიტზე www. goldenfoot. com. ათეულში შევიდნენ: ჯანლუიჯი ბუფონი, რობერტო კარლოსი, დევიდ ბექჰემი, რაიან გიგზი, ლუიშ ფიგუ, რაული, დავიდ ტრეზეგე და ტიერი ანრი.

## ისტორიაში შიშვლები შევლენ?



**სწორედ ასე ფიქრობენ ისტორიაში შესვლას ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების წევრები – ველომრბოლი რებეკა რომერო, სამმაგი მხტომელი ფილიპ იდოვუ და მოცურავე გრიგორ ტეიტი. ისინი ცნობილმა ბრიტანელმა ფოტოგრაფმა ნადავ კანდერმა თავის ახალი პორტფოლიოსთვის შიშვლები გადაიღო.**

შიშველი ოლიმპიელების ფოტოებს სპორტული სასმელის Powerde რეკლამისათვის გამოიყენებენ, ის ხომ პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური სპონსორია.

28 წლის ველოსიპედისტი, ბრიტანეთისთვის 2004 წელს ათენში ვერცხლის მედალი რომ მოიგო, ფოტოგრაფთან ველოსიპედით პოზიორობს, ორი დანარჩენი სპორტსმენი კი ასევე აღბეჭდილია მათი სპორტის სახეობებისათვის ტრადიციულ პოზებში.

29 წლის იდოვუს თქმით, მასზე კი მთელი ბრიტანეთი ახლანდელ ოლიმპიადაზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებს, ფოტოგრაფმა მათ აგრძნობინა „სრული სიმშვიდე“.

მადლობის მაგიერია?!

# რა ჰქვია იმ ჭიას, ჰენრი კუპრაშვილს რომ ღრღნის?!

**ჩემი და ზოგიერთი ჩემი კოლეგის ბედი რა ვთქვი: რომ გვგონია, ვარდს ვთესავთ, ხანდახან ისეთი ჭინჭარი ამოდის, კაცს გული გაგისკდება, ასე რომ დაწერ, ზოგს ისე მოეჩვენება, ზოგი ტექსტს უკირკიტებს, ზოგს ამბიცია აწუხებს და ისე გიტევს, ტელეფონზე ისე გესაუბრება, თითქოს უნებლიე შეცდომის ავტორი კი არა, აფხაზეთში ომის დამწყები იყო... ჩემი ჟურნალისტური განწამაწიის 42 წლის განმავლობაში, მინახავს ასეთი ტიპები, ასეთი ამხანაგები, ასეთი ბატონები... ჟურნალისტიკა, თანაც, საგაზეთო, არასდროსაა დაზღვეული შეცდომებისგან, რასაც, სამწუხაროდ, ნაჯახითაც კი ვერ ამოძირკვავ გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ რაც მე ამ რამდენიმე დღის წინათ მომივიდა, სამწუხარო კი არა, განსაცვიფრებელი უფროა.**



ჩვენი კარგი მეგობრის ჯიმი ბროძელის შვილიშვილმა, გასულ კვირას ქვეყანა გააკვირვა: 11 წლის ალმასივით ბიჭმა ჯიმიკო ბროძელმა „ხელფეხშეკრული კოლხურით“ თბილისის ზღვის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი 1 საათში, 50 წუთსა და 47 წამში გადასცურა, რაც გენერალური რეპეტიცია იყო დარდანელის სრუტის გადაცურვის წინ, რომელიც 30 აგვისტოს უნდა გაიმართოს. რაღა თქმა უნდა, შვილიშვილის წარმატება აღნიშნა ჯიმი ბროძელმა, დაპატიჟებული მეც ვიყავი და ცხოვრებაში, ალბათ, პირველად ვნანობ, ნეტა, არ მივსულიყავი იმ პურმარილზე-მეთქი.

იქ გამაცნეს ერთი სიმპათიური მამაკაცი გია ბაბუნაშვილი, „ლაგუნა ვერეზე“ სწორედ ამან შეასწავლა ჯიმიკოს ცურვის ანაბანაო... ცოტა მოშორებით იჯდა ჩვენი პოპულარული, „ხელფეხშეკრული კოლხურის“ უბადლო მცურავი და მრავალგზის რეკორდსმენი, ბატონი ჰენრი კუპრაშვილი. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. გადავკოცნე, მივულოცე შეგირდის წარმატება და მალევე წამოვედი სუფრიდან, ხოლო, სამშაბათის, 5 აგვისტოს ნომერში ინფორმაცია დავბეჭდე ჩვენს გაზეთში სათაურით – „ჯიმი პაპას ცრემლები“. მეორე დილით რედაქტორი მეუბნება, კაცო, ჰენრი კუპრაშვილმა დამირეკა, მე შევასწავლე ჯიმი ბროძელს ცურვის ანა-ბანა, თან ვყვები და ეგ გია ბაბუნაშვილი ვინ არის, რა სისულელეებს ბეჭდავთო...

ეს შეიძლება ეთქვა კაცს, რომლის ამაგი დავივიწყეთ, მაგრამ თუ მე ინფორმაციის დასაწყისში ვწერ: **„ჯიმი ბროძელმა „ლაგუნა-ვერეზე“ ისწავლა ცურვა და მწვრთნელის გია ბაბუნაშვილის ხელმძღვანელობით დაოსტატდა“,** ინფორმაციის ბოლოში აღვნიშნე: **„სიხარულს ვერ ფარავდა ჯიმი ბროძელის მწვრთნელი, „ხელფეხშეკრული კოლხურის“ მრავალგზის რეკორდსმენი, ბატონი ჰენრი კუპრაშვილი“.**

რა დავაკელით ღვაწლმოსილ სპორტსმენსა და მწვრთნელს? თითქოს, არაფერი... არ იკმარა: ვინ არის გია ბაბუნაშვილიო, რეებს წერთ, თავიდან ბოლომდე მე გადავყევი ამ ბიჭსო, თუ არ გჯერათ, „ლაგუნა-ვერეზე“ იკითხეთო. მეც ვიკითხე. სულო ცოდვილო, ვიჩქარე ჩაწერის დროს თუ რა იყო, გია ბაბუნაშვილი, თურმე, მართლა არ მუშაობს „ლაგუნა-ვერეზე“, მაგრამ ისიც დაუჯერებელი ჩანდა, გზის დასაწყისში, ჰენრი კუპრაშვილი ყოფილიყო პატარა ჯიმიკოს ცურვის პედაგოგი... ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, მაგის გაგებას, რა უნდოდა – მომავალ „გინესის“ რეკორდსმენს გიორგი აბზიანიძემ და დათო ინასარიძემ შეასწავლეს ცურვაო, მითხრა „ლაგუნა-ვერეს“ ხელმძღვანელობამ. ხოლო, როგორც თბილისის ზღვის „დალაშქვრის“ წინ გამოსული სარეკლამო ბარათი გვაუწყებს, **„ხელფეხშეკრული კოლხურით“... მისი მწვრთნელია ჰენრი კუპრაშვილი, რომელთანაც უკვე 6 თვეა, რაც ემზადება ეს უშიშარი ბავშვი“.**

მეც იგივე არ დავწერე იმ წერილში? მაშ რა გინდათ, ბატონო ჰენრი? გსურთ, რომ სხვათა ღვაწლი მიითვისოთ, თქვენი არ გეყოფათ? ვინ დაგიჯერებთ, რომ 6 თვეში ჯიმი ბროძელს თქვენ ელემენტარული ცურვაც ასწავლეთ და ხელფეხშეკრულიც? თქვენ ხომ, როგორც მითხრეს, „მზამზარეული“, ნიჭიერი ბავშვები აგყავთ?! არ გყოფნით თქვენი სახელი და დიდება?!. იმ ფრაზასთან თქვენ რა საქმე გაქვთ, ბაბუნაშვილი იყო მწვრთნელი თუ გოდერძი ბელტიყლაპიაშვილი? თანაც, თქვენს შეგირდთან ერთად ხომ სწორედ თქვენ იყავით აღბეჭდილი გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოზე და არა ბაბუნაშვილი.

მაშ რა გინდათ, დალოცვილო, შეურაცხყოფას რატომ გვაყენებთ?! სისულელეები წერიაო, რატომ კადრულობთ?!.

მადლობის მაგიერია?!

რა ჰგავს თქვენი საქციელი?

ამის გამოცნობა მკითხველს არ გაუჭირდება, არც იმისა, თუ რა ჰქვია იმ ჭიას, თქვენ რომ გღრღნით, ბატონო ჰენრი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ოლიმპიზმი

# ათასი ხელფასი ოლიმპიური „ოქროსთვის“



**მონღოლი სპორტსმენი, რომელიც პეკინში ოლიმპიურ თამაშებზე თავისი ქვეყნის ისტორიაში პირველად მოიპოვებს ოქროს მედალს, სახელმწიფოსაგან მიიღებს ასი ათას დოლარს, ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში საშუალო ხელფასი ასი დოლარია.**

„პეკინის ოლიმპიადაზე მონღოლეთი გააგზავნის ისტორიაში ყველაზე დიდ დელეგაციას 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ, – მასში იქნება 29 ათლეტი სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა სროლა, კრივი, ძიუდო, ძალოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქალთა ჭიდაობა, მძლეოსნობა, ცურვა... მედლების ყველაზე დიდი შანსი გვაქვს სპორტის ოთხ სახეობაში – კრივში, ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობასა და ტყვიით სროლაში“, – აცხადებს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ცემ დამდინი.

## გაზარი ჩვენი ამაოებისა

**„წაეპოტინა“ კიდევაც მსუბუქი ნათქვამია. ჩვენს ისტორიულ მეზობელს იმდენად დიდი მადა და გაუმაძღარი მუცელი აქვს, რომ თუ მოიწადინა, აზერბაიჯანული გაზი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მთლიანად გადასანსლოს. რუსეთის ამჟამინდელ ლიდერს დიმიტრი მედვედევს, რომელიც გაზის შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით ბაქოში საგანგებოდ ჩავიდა, ილხამ ალიევთან მოლაპარაკებისას, რა თქმა უნდა, რუსული მადის თაობაზე სიტყვაც არ დასცდენია, მაგრამ ხელშეკრულება, რომელიც აზერბაიჯანმა ენერგოგიგანტ „გაზპრომთან“ გააფორმა, ამის უტყუარი დასტურია.**

# დიდ მეზობელს მუცელიც დიდი და გაუმაძღარი აქვს

ჩვენ რა გვენაღვლებაო, იტყვის ზოგი ვინმე გულუბრყვილო ჩვენი ხელისუფლებიდან, ხელშეკრულება აზერბაიჯანთან რუსეთზე ადრე ჩვენ გავაფორმეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კუთვნილ გაზს თითსაც ვერავინ დააკარებსო. თუ მოგვრჩება რამე, ეს უკვე სხვა საქმეა, ის გინდა რუსეთმა წაიღოს და გინდა უგანდამო. მაგარი არგუმენტია, არა? ამიტომაც არის გულმაგრად ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, რომელიც აცხადებს: აზერბაიჯანული გაზის იმპორტი კონტრაქტით გარანტირებული გვაქვს, „გაზპრომი“ ჩვენი მეზობლისგან მხოლოდ მორჩენილ გაზს მიიღებსო.



**რუსეთმა თავის გაზს ხომ ცეცხლი მოუკიდა და აზერბაიჯანულსაც წაეპოტინა**

ასეა, ქართველებს თუ მოგვრჩა რამე აზერბაიჯანში, „გაზპრომი“ მაშინვე ეძგერება და წაიღებს, თუ არა და — ხახამშრალი დარჩება. თუმცა ჩვენებური მინისტრების (და არა მარტო მინისტრების) თავდაჭერილობის ამბავი რომ ვიცი, არა მგონია, საქმე მთლად ასე მარტივად იყოს. თუ ისე საეჭვოდ გამოიყურება აზერბაიჯანული ნავთობის მარაგი, რომ თავადაც არ იციან მორჩებათ თუ დააკლდებათ, მსოფლიო ენერგობაზარზე ცნობილი გიგანტი („გაზპრომი“) იმის ჩიტია, რომ ასეთ არასაიმედო პარტნიორთან კონტრაქტი (თანაც მრავალწლიანი) გაეფორმებინა?

ამის დაჯერება მხოლოდ ქართველებს თუ შეუძლიათ. ჰოდა მთავრობასაც რა ენაღვლება, იცის ჩვენი გულუბრყვილობის ამბავი და გვაჯერებს. ისევე როგორც დაგვაჯერა, რომ 50 დღეში სიღარიბე, უმუშევრობა და შიმშილი უნდა დაგვემარცხებინა. იმედი გაგვიცრუვდა, არ გამოგვივიდა? რა ვუყოთ მერე, პირველად ხომ არ მოვტყუვდით. მთავარია, მთავრობა გვყავდეს მხნედ, თორემ არაფერი გაგვიჭირდება, ის, რის გაკეთებაც 50 დღეში ვერ შევძელით, 50 თვეში ხომ მაინც შევძლებთ (!).

არც გაზზე უნდა გავიტეხოთ გული. თუ ისე მოხდა, რომ აზერბაიჯანიდან გაზი მთლიანად რუსეთმა „მოხვეტა“ და ჩვენ მონარჩენიც აღარ დაგვიტოვა, არც ამაზე უნდა მოვიკლათ თავი. იფიქროს თავად რუსეთმა, რომ მთელ მსოფლიოში მტაცებელი მონსტრის სახელს იმკვიდრებს, თორემ ჩვენ ალტერნატივა არ დაგველევა — აზერბაიჯანმა თუ გვიმტყუნა, სამაგიეროდ ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი და სხვა მეგობარი ქვეყნები გაგვიმართავენ ხელს. ბოლოს და ბოლოს თუ ყველგან ყველაფერი გაწყდა, „ყაზტრანსგაზი“ აგერ არა გვყავს, იყიდის რუსეთისგან აზერბაიჯანიდან იაფად წაღებულ გაზს და ჩვენ მამასისხლად ისე შემოგვასაღებს, საქართველოში მთავრობის გარდა სხვა ვერავინ მიხვდება. შარშან, როცა აზერბაიჯანმა დროებით გაზი შეგვიწყვიტა, განა ასე არ მოიქცა? — რუსეთს 240-დოლარიანი გაზი გაუსაღა, მეწარმეები და მოსახლეობა კი გაზრდილი გადასახადებით წელში გაწყვიტა.

ეს მაშინ ჰყიდდა რუსეთი გაზს 240 დოლარად, თორემ ახლა თუ გაგვიჭირდა და ამდენი „ალტერნატიული მოგზაურობის“ შემდეგ ისევ ჩვენს მოკეთე მეზობელს მივადექით, რაც რეალობას სულაც არ არის მოკლებული, არ გაგიკვირდეთ, გაორმაგებული 240 დოლარი რომ მოგვთხოვოს. „გაზპრომის“ ხელმძღვანელობამ ევროპულ ქვეყნებს უკვე ოფიციალურად განუცხადა, რომ წლის ბოლოსთვის გაზის ტარიფს 500 დოლარამდე გაუზრდის, ხოლო თუ ნავთობის ფასმა საერთაშორისო ბაზარზე 250 დოლარს მიაღწია, მაშინ გაზის ფასი გაისად 1000 დოლარამდე მოიმატებს. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რუსეთმა ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვას და შეღავათიანი ფასი დაგვიწესოს, მით უფრო, რომ აზიას კარგა ხანია გავეყარეთ და ევროპელთა სიაში ჩავეწერეთ.

ევროპას კი რუსეთი ახალ „სიურპრიზს“ უმზადებს — აზერბაიჯანთან დადებული გარიგებით „გაზპრომი“ მას გაზის მიღების კიდევ ერთ გზას გადაუკეტავს და ალტერნატივის გარეშე დატოვებს. ლაპარაკია იმაზე, რომ ამით მის კონკურენტ „ნაბუკოს“ პროექტს სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს. არადა, ევროპის ქვეყნები და, ბუნებრივია, საქართველოც ამ პროექტის ამოქმედებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ეს იმედი კიდევ უფრო გააქარწყლა ავსტრიულმა კომპანია „ოემ-ვემ“, რომელმაც „ნაბუკოს“ აქციონერობაზე უარი თქვა და „გაზპრომის“ პროექტს შეუერთდა.

ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს იქითკენ მივყავართ, რომ რუსეთი ევროპის ენერგოპოლიტიკის ერთპიროვნული მმართველი, ხოლო „გაზპრომი“ ამავე პოლიტიკის წყალობით, უკონკურენტო მონოპოლისტი გახდეს. ასეთ პირობებში ევროპა, რომლის ქვეყნებში გაზის მოხმარების დეფიციტი ყოველწლიურად მატულობს, იძულებულია „გაზპრომის“ თამაშის წესებს დაყაბულდეს და მის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ ფასს დათანხმდეს.

რა ელოდება საქართველოს? კარგი არაფერი. აზერბაიჯანი, რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში უპირატესობას იმ მარშრუტს მიანიჭებს, რომელიც ყველაზე მეტ მოგებას მოუტანს და გაზსაც იმ კომპანიას მიჰყიდის, რომელიც სხვაზე მეტს გადაუხდის. თუ რუსული „გაზპრომი“ მას ათას კუბმეტრ გაზში 400 დოლარს შესთავაზებს, რაზეც სარწმუნო წყაროები უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობენ, ბუნებრივია, აზერბაიჯანი საქართველოს გაზს ამის ნახევარ ფასში აღარ მისცემს. რას იზამს ასეთ შემთხვევაში ჩვენი „მეალტერნატივე“ მთავრობა? ვერაფერს, გარდა ერთისა — იძულებული შეიქმნება შემოთავაზებულ ფასს დათანხმდეს (ენერგეტიკის სამინისტროში ამის გაგონებაც არ სურთ) და გაზის ტარიფის კიდევ ერთხელ გაზრდაზე იფიქროს.

რაც შეეხება რუსეთს, ის მარტო ევროპას კი არა, ამიერკავკასიის ქვეყნებზე მზრუნველობასაც ძველებურად განაგრძობს, კერძოდ, ცდილობს აზერბაიჯანულ ნავთობთან ერთად „მამობრივი ამაგი“ საქართველოს ენერგეტიკულ და სტრატეგიულ ობიექტებსაც არ მოაკლოს. ბევრი მათგანი უკვე მოაქცია რუსულ საკუთრებაში და ბევრსაც სამომავლოდ ამასვე უპირებს. გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, ამჯერად გაყიდვის ყველაზე რეალური კანდიდატია საქართველოს რკინიგზა, რომლის შენახვა სახელმწიფოს მძიმე ტვირთად დააწვა და მის თავიდან მოცილებასაც აპირებს. ერთადერთი, რაც „ნაციონალებს“ გულსა სწიწკნის ის არის, რომ რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში ამჟამად მათი 15 ყოფილი თანამებრძოლი მუშაობს (საუბარია ყოფილ პარლამენტარებზე) და რა ქნან, რკინიგზასთან ერთად მათაც რუსებს ხომ არ მიჰყიდიან (?!).

თუმცა იმ ხუთი უცხოური კომპანიიდან, რომლებიც საქართველოს რკინიგზის შესყიდვას აპირებენ, ოთხი რუსულია და მათი დაინტერესება თურმე იმდენად დიდია, რომ არა მგონია, ასეთ „სიურპრიზზე“ უარი თქვან. საერთოდაც, რუსებს იმდენად ვუყვარვართ, რომ საქართველო თავის მთავრობიანადაც რომ მივყიდოთ, დარწმუნებული ვარ, უარს არც ამაზე იტყვიან.

**ოთარ ხუციშვილი**

## ნეტავი ჩემი იყოს!

# კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



**სასოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, პრესტიჟულ ქოშიგორაზე იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით განაშენიანებული ელიტური აგარაკი, 1700 კვმ მიწის ნაკვეთი, 250 კვმ ფართის უცხოვრებელი 2 სახლი (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო კედლის კარადებით, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 კეთილმოწყობილი აბაზანა, 6 აივანი, ყველაფერი ჟალუზებში), კეთილმოწყობილი საუნა, საწყობები, კაპიტალური ავტოფარეხი, ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მუდმივი ელდენი, ნატახტარის წყალი, გამაცხელებლები, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, სახლამდე მისასვლელი გზა (ტრასიდან 500 მეტრში) ახლახან მოასფალტდა. ფასი შეთანხმებით.**

899 93-01-04; 23-37-37 რეზო. 36.50.33 მაია.

## გახსენება

# კახა კერესელიძე



დღეს კახა კერესელიძის დაბადების დღეა!

მას 26 წელი შეუსრულდებოდა.

არ არის საიუბილეო თარიღი, მაგრამ მისი ყოველი დაბადების დღე ყოველთვის იქნება საგანგებოდ აღსანიშნავი ჩვენთვის, და გვჯერა, ასობით და ათასობით სტუდენტისთვის და პროფესორ-მასწავლებლისთვის, ვისთვისაც დედაუნივერსიტეტის სახელი ძვირფასია.

გაიხსენეთ, 2003 წლის 24 ნოემბერი, „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღე, როცა უნივერსიტეტს თავს დაატყდა უზრდელთა და უწიგნურთა ჯგუფი, რომელიც თავს „კმარას“ ავანგარდს უწოდებდა. გარედან დაფინანსებულმა, ყველაზე უზნეო ჯგუფის მიერ დაფრთიანებულმა სიბრიყვემ პირველი შეტევა დედაუნივერსიტეტზე განახორციელა და ერთ-ერთი პირველი, ვინც მაშინ ხმა აიმაღლა და სათავეში ჩაუდგა ცოდნის ტაძრის ღირსების დასაცავად აზოზოქრებულ სტუდენტობას, იყო კახა კერესელიძე! 21 წლის ბიჭი, რომლის და რამდენიმე, ნიჭითა და ზნეობით მასავით გამორჩეული ახალგაზრდის გულწრფელობამ, უანგარობამ, თავდადებამ, ავტორიტეტმა არამარტო გადაარჩინა უნივერსიტეტი, არამედ ღირსება შეუნარჩუნა გამიზნულად ჩირქმოცხებულ პროფესურას!

მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მერე რა, რომ ხელისუფლებამ მოიტყუა. მერე რა, რომ იმ დღეს გასაკეთებული ავი საქმე დროში გაიწელა და უნივერსიტეტი საბოლოოდ მაინც დაანგრიეს. თუმცა, მაინც ამაოდ არ ჩაუვლია კახასა და მისი თანატოლების მაშინდელ თავდადებას... ამაოდ არ ჩაუვლია იმიტომ, რომ ავმა და ბინძურმა ძალამ ვერ შეძლო დედაუნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი ბოზოქარი სულის ჩაქრობა და ვერც ვერასოდეს შეძლებს! არსებობს პირადი მაგალითი, რომლის ძალასაც წინ ვერაფერი აღუდგება და ეს პირადი მაგალითი, უწინარესად და უყოყმანოდ დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტუდენტობის მაშინდელი ლიდერის კახა კერესელიძის სახელთან.

კახა — უნიჭიერესი სტუდენტი, პერსპექტიული მკვლევარი...

კახა — იმდროინდელი სტუდენტური საქმეების ერთ-ერთი ინიციატორი და თანამონაწილე, ჭეშმარიტი ლიდერი...

კახა — უერთგულესი მეგობარი, რომელიც უშურველად გასცემდა სითბოს და სიყვარულს...

კახა — ზნეკეთილი, უანგარო, მუდამ მომღიმარი და გვერდში მდგომი მეგობარი...

კახა — ჩინებული ოჯახიშვილი...

კახა — უფროს თაობაშიცა და თანატოლებშიც აღიარებული ბიჭი, პარტნიორი, დასაყრდენი და მოსაფერებელი...

კახა — იმდროინდელი დედაუნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელების სიამაყე!

აკი, ამიტომ ვაწერთ ხელს ამ მოსაგონარ წერილს მისი უფროსი და თანატოლი მეგობრები...

**ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი მამაცაშვილი**

**ლეონარდო დევდარიანი, მიხეილ ოსაძე, ავთანდილ წილოსანი და ალექსანდრე ჯიბლაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ლაერტი ზუბადალაშვილს დედის ქალბატონ ევგენია ზუბადალაშვილის გარდაცვალების გამო.**



## ვულოცავთ!..

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები წრფელი სიყვარულითა და მადლიერებით ვულოცავთ დაბადების დღეს დიდად კეთილშობილსა და გულიანად სიკეთის მთესველ ქალბატონს

მარინა კანდელაკს

### ინფორმაცია

## უკრაინელები მთაში ბრძოლას საქართველოში ისწავლიან

**უკრაინელი სამხედრო სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი წვრთნას საქართველოში გაივლის.**

სწავლება, სამთო-ქვეითი მომზადების საერთაშორისო კურსის ფარგლებში, საჩხერის სასწავლო ცენტრში ჩატარდება.

ამის თაობაზე უკრაინული მედია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

წვრთნის მთავარი მიზანია მთაში საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებასა და წარმოებაში მომზადება. სამხედროები დაეუფლებიან სამთო მომზადების თვალსაზრისით არსებულ ნატოს სტანდარტებსაც.

უკრაინელი სამხედროები საქართველოში 24 აგვისტომდე დარჩებიან.

**ინტერპრესნიუსი**



### ინფორმაცია

## საზღვრის დამრღვევი 3 ათასს გადაიხდის

**ახალციხის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს მოქალაქეს, სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდების საფუძველზე, გირაო 3 000 ლარი შეუფარდა.**

სასაზღვრო პოლიციის ცნობით, აღნიშნული პირი სასაზღვრო პოლიციის სამმართველო „ახალციხის“ მესაზღვრეებმა საქართველო-თურქეთის საზღვარზე, საკონტროლო-გამტარ პუნქტ „ვალეზე“ 2 აგვისტოს დააკავეს.

## თურქი და ქართველიც სარფში დააკავეს

**მესაზღვრეებმა ბათუმის აეროპორტში და საკონტროლო-გამტარ პუნქტზე „სარფი“ თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეები დააკავეს. თურქეთის მოქალაქე, მესაზღვრეებმა საქართველოდან გასვლისას გამოავლინეს. იგი ქვეყანაში უკანონოდ, საპასპორტო კონტროლის გავლის გარეშე „ადლერის“ გავლით შემოვიდა.**



საქართველოს მოქალაქე კი ყალბი პასპორტით ქვეყანაში შემოსვლის მცდელობისას დააკავეს. მას პასპორტში საქართველოსა და ასევე საბერძნეთის ყალბი თარიღ-დამღები აღმოაჩნდა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

## დამნაშავე ქართველი მინისტრის მოადგილემ პირადად დააკავა

**რუსეთის ფედერაციის შს მინისტრის მოადგილემ ნიკოლაი ოვჩინნიკოვმა მოსკოვში პირადად დააკავა არალეგალი მიგრანტი საქართველოდან, რომელიც ორი ავტოსაგზაო შემთხვევის ჩადენის შემდეგ მიმალვას ცდილობდა.**

22 წლის საქართველოს მკვიდრი, რომელიც დიმიტროვსკის გზატკეცილზე ავტომობილ „ნექსიას“ მართვისას „შევროლეტს“ შეეჯახა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მოგვიანებით კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოუხდა. ყოველივეს რუსეთის შს. მინისტრის მოადგილე პირადად შეესწრო და დამნაშავეს სამსახურებრივი ავტომობილით დაედევნა, – იუწყებიან მოსკოველი სამართალდამცავები.

მათივე ინფორმაციით, რამდენიმე ხნის შემდეგ დამნაშავე დააკავეს და გაირკვა, რომ მას ავტომობილის მართვის უფლებაც არ ჰქონდა და რუსეთში უკანონოდ იმყოფებოდა.

## რათა ინფექცია არ გავრცელდეს

**წალენჯიხის რაიონში ცხოველთა მწვავე ინფექციური დაავადება პასტერელოზის წინააღმდეგ მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია ჩატარდა.**



სურსათის უვნებლობისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მოსახლეობას ვაქცინები შეღავათიან ფასში დაურიგდა.

ეროვნული სამსახურის ძალებით დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად მასობრივი დეზინფექციაც ჩატარდა.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში პასტერელოზი გასულ კვირაში დაფიქსირდა. ოფიციალური მონაცემებით, 4 მსხვილფეხა პირუტყვი დაიხოცა.

## ბიჭუნას მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ გადარჩენა შესაძლებელია

**თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გორიდან მენინგოკოქცემიის დიაგნოზით 12 წლის მოზარდი მიიყვანეს.**

როგორც "ინტერპრესნიუსს" საავადმყოფოში განუცხადეს, 12 წლის ბიჭის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. მას ბაქტეოროლოგიური მკურნალობა უტარდება.

ექიმი-ინფექციონისტების ინფორმაციით, პაციენტის გადარჩენა შესაძლებელია, რადგან მენინგოკოქცემიის სიმპტომების აღმოჩენისთანავე მოზარდი მშობლებმა კლინიკაში მიიყვანეს.

**ინტერპრესნიუსისა და ХИ-ЭИБ-ЭНИ-ს მიხედვით**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ბინა – იაფად!

5-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

### კადრი



### ანეკდოტები

სადღესასწაულო სუფრის წევრებს მასპინძელი თვითონ უსხამს სხვადასხვა სასმელს. ბოლოს ერთ სტუმარს ეკითხება:

– თქვენი ცოლი რას სვამს?

– რას და, ჩემს სისხლს.

* * *



ოჯახი ავტომობილით მგზავრობს. უკანა სავარძლიდან პატარა ბიჭუნა ყვირის:

– დედი, დედი, ნახე, მდინარე!

– დედი, დედ, ნახე, ძროხა!

– დედი, დედი, ნახე, ელმავალი!

– მამი, მამი, ნახე, რა ნაშაა!

* * *

ქმარი ადრე დაბრუნდა სახლში. უხასიათოა და აღრენილი. ცოტა წაიხემსა და მაშინვე ლოგინს მიაშურა. ცოლიც მიიპატიჟა საწოლში.

– ჩემთვის დღეს არ შეიძლება, – თბილად უარობს მეუღლე.

– თქვენ რა, დღეს ყველამ პირი შეკარით? – ღრიალებს ქმარი.

* * *

თუ ადამიანი ნიჭიერია, იგი ასეთია ყველაფერში, იგივე მდგომარეობაა იდიოტებთან მიმართებაშიც?.

* * *

არავის სურს თანასწორთა შორის მეორეობა, მაგრამ თანასწორთა შორის პირველობა ყველას უნდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.